

ცხოვერება

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1. დევილები, პოემა, ობოლი მუშისა.
2. ბძლოს სული, ლექსი, მინა რაქველისა.
3. * * ლექსი, ა. ხაბულიანისა.
4. და დღესაც მივქრა... ლექსი, სანდრო გურულისა.
5. ძღნათ თ. თაქთაქიშვილს, ლექსი, ობოლი მწყემსისა.
6. „პრიგავარის ღვდელი,“ დასასრული, მელანიასი.
7. * * ლექსი, სახალინელისა.
8. შურის ძიების სხვერპლნი, შემდეგი, გ. ებრალიძისა.
9. სატრფოს, ლექსი, ხ. ვარდოშვილისა.
10. ჩემი ვარდი, ლექსი, გ. ველისციხელისა.
11. დილა, ლექსი, კ. მიშქრალისა.
12. გაზაფხული, ლექსი, ტანჯული ქალისა.
13. კრიტიკა, ხომლეღისა.
14. სულით ავთმყოფობა, შემდეგი, მკურნალის ს. დადუნაშვილისა.
15. საყურათღებო ამბავი.
16. შემოლილი მუსიკა, ს. დ—ნისა.
17. ქართველ მკურნალთა საყურათღებოთ, პრივატ-დოცენტი გაბრიელ დამბარაშვილისა.
18. ქართული პრესა.
19. ღია ბარათი.
20. მოწოდება.
21. ერობა კავკასიაში.
22. მაქსიმე მაქსიმეს ძე კოვალევსკი.
23. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა.

1 აპრილი.

1916 წ.

ჭ უ თ ა ი ს ი

სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„**ს ხ ო ვ რ ე ბ ა - ზ ე**“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათა ც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, კიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიისში—მინა კობალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამყრელიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

„**მეგობარი**“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან. სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს 2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტანონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად

გ. მანიშვილის ნაწერების კრებულს.

ორგანიზაციული საბოლოო, სალიცენზიაციო და სამეცნიერო უწყრნალი.

დეკონილეზი^{*)}

კოეზა

თავი მეორე.

I

ღამის გუშაგი-პირ-ბადრი თვარე
 ღრუბელთ ტალღებში ცურავს, სრიალებს,
 ხან მიიმალვის სხივებ მთროლოვარე,
 ხან ცის ლურჯ თალზე ბწყინავს, ციალებს;
 ვარდისფრათ მოსავს სპეტაკ ღრუბლებსა,
 ნაზობს, კეკლუცობს ღამის ასული,
 უუუნა ვარსკვლავთ პარავს სხივებსა
 და სივრცეს აფრქვევს ღამ-მორეული.
 მწვანით მოსილი მალალი მთები
 სხივთ მკრთალ სამოსში გამოხვეული,
 თითქო გულს უკლავს შავი ფიქრები.
 ისე პირქუშათ ჩაფიქრებულა.
 ტბა სარკეთ შლილი, ვით საყვარელსა,
 თვარეს უცინის და უხსნის გულსა...
 ძინავს მიდამოს... ძინავს სოფელსა...
 ძინავს ნიავსაც ფთებ-დანამულსა...
 მხოლოთ რიონი ნაზი დუღუნით
 მოშჩქეტს, მოშხუვის შეუსვენარათ,
 კვლავ იმას მოაქვამს, რაც საუკუნით
 აბუტბუტებდა, მღეროდა მარათ...
 და ეჰ, ვინ იცის, მისი ჩხრიალი
 რამდენ თაობას მოუსმენია!
 რამდენ ჭაბუკის სისხლისა კვალი
 ზღისთვის შეურთავს, არ დასჩენია!
 მოჩქეტს რიონი შეუსვენარათ
 ზვირთებით სხივებს ეთამაშება;
 თვარე, ხან ჩდება, მკურავი წყნარათ,
 ხან თეთრ ღრუბლებში შეკაშკაშდება...

II

მალალ მთის ქედზე, გაშლილ ნაბადზე
 ზის ყრმა-ჭაბუკი ჩაფიქრებული;

^{*)} იხ. „სსოფრეზა“, № 5

ოცნებობს თავის მომავალ ბედზე,
 ოცნებობს ტკბილათ ღიმ-მორეული.
 ვით ქანდაკებას, ტურფათ კვეთილსა
 სხივი თვარისა თავს დაქოქათებს,
 და იმ მიდამოს, ზურმუხტათ შლილსა
 გულის წარმტაცათ უშუქ-უნათებს.
 ღამის წყვილიდის უწყვილიდესი
 იმის თვალები სივრცეს ვაცქერის;
 იმედი, ყოველ, შვების უტკბესი
 იმის მხნე გულში ნაზ-ტკბილათ მღერის...
 ხან მძინარ სოფლებს დააცქერდება
 ისე, ვით მძინარს დედას მშობელსა;
 ხან მთებს გაყურებს, ცამდი რო წვდება,
 მთებს მშობელ ქვეყნის შემამკობელსა;
 ხან მთათ კალთებზე შესუდრულ ნისლსა,
 ნაზ მუქ გუნდებათ რო გაფენილა;
 ხან რიონს ველათ შემოკლაკნილსა;
 ხან ქოხს, შორს ობლათ რო დარჩენილა...

III

ნეტა, ვინ არის?... ან აქ, რა უნდა?!
 ღამის წყვილიდში, ვის ემალება?
 რათ მიატოვა თავისი ბინა?
 რატომ არჩია განმარტოვება?
 იქნებ, ის ხალხმა აღარ მიიღო,
 დავმო ვაკიცხა და მოიშორა,
 რათგან მის გულში ბოროტი გძნობა
 ველარ აღმოფხვრა, ვერ გაასწორა?
 იქნებ, გულ-ბნელი ავაზაკია,
 აღარ აქვს გძნობა შებრალებისა,
 ბევრი უმანკო სისხლი დაღვარა,
 სისხლი დაღვარა ჩვილი ყრმებისა?
 არა!... ის არი დევნილი შალვა,
 ხალხის შვილია, თავ-განწირული,
 ვერ შეეგუა უსამართლობას,
 და, ჰა, მთებშია გადამალული.
 მისი ბინაა, ხან მთა მალალი,
 ხან ტყე სოფელზე დაშორებული,
 და ხანაც ველი, თვალ უწვდენელი,

ხავერდოვანი, აყვავებული.

მათ არ უმაღავს და უზიარებს
გულის ფიქრებსა მათი სტუმარი...
და, აი, ახლაც თითქო ყურს უგდებს
დეწილის ფიქრებს მთებიმდუმარი...
ჰოი, ბუნებავ! შენი წილი
ნეტავ, ვის გულს არ ესალბუნება!
შენი ალერსით, ტკბილო დედაო,
ვისი წყლული არ განიკურნება!
და, აი, შალვაც ტკბილ ფიქრებშია,
დავიწყებია ტანჯვა-წვალება...
მხოლოთ ხან და ხან მიმოიხედავს,
რათვან ამხანავს მოელოდება...
და, აჰა, აგერ გამოჩნდა იგი,
თვარის სხივებით გაშუქებული, —
შეხედა შალვამ, ზე წამოიჭრა
და მიეგება გაღიმებული...

IV

შალვა.

სად იყავ, ძმაო, ამდენი ხანი?
ხომ არაფერი შეგემთხვა ვლახა?
გიორგი.

არა... სოფელში გამოვიარე,
იქ ჩვენი თედო უნდა მენახა...

შალვა.

მე-კი ამ წარმტაც, შეწინააღმდეგე
ტკბილი ოცნების შემახსნა ფთები...
ვინ იცის, გოგი, სად არ ვიქროლე...
ასჯერ ავკაფე შავ ბნელი მტრები!
ოჰ, რა ტკვილია, ძმაო, ოცნების
ტურფა საშეფო, წარმტაცი გულის!
ოცნებით ვბოვებ წყლულის შალამოს,
იგია მხოლოთ ნუგეში სულის!..
დღეს, ოდეს შრომის შეილთა მიდამო
კვნესა-ვაგებით გარემოცულა,
ოდეს შავბნელი ბოროტი ძალა
თავს დავხარხარებს, გამეფებულა, —
მხოლოთ იმედით, ნახ-ტკბილ ოცნებით
მიდგას, გიორგი, ტანჯული სული,
თორე, რა არი, თუ არ სიკვდილი,
ჩვენი ცხოვრება მოხური, კრული!
და მეც ოცნებით, შენს მოლოდინში,
შევტრფოდი, ძმაო, ჩვენ გამარჯვებას;

ცამდის ამქონდა სიმართლის დროშა...

ვლდესასწაილობდი მტერთ დამარცხებას!..
გიორგი.

ეს, ჩემო შალვა, კარგია მაინც,
რო ძალგის ასე ოცნებით ფრენა;
იმედი არი წყარო შევებისა,
იმედით ქრება ტანჯვა-მოწყენა.
მარა მებძოლმა ცრუ იმედები
გულში არ უნდა დაისადგუროს,
უნდა აწყროს მიმოიხედოს
და შორსც გაქვრიტოს, შორით იყუროს...
რალა ვართ დღეს ჩვენ, დამარცხებულნი?
გაქრა, მიდუმდა სულ ყველაფერი!..
და, გახსოვს, როგორ ქუხდა, გრგვინავდა
სათავისუფლო ხმა ღრმა, ძლიერი?
ახლა-კი ჩვენი ამხანაგები
საპყრობილეში იხოცებიან;
არავის ესმის მათი წუხილი
და მათი კვნესა, ისე ქრებიან!..
და ნუ თუ არ ჯობს, რომ ავიყაროთ
ეს იარაღი გაუქმებული;
წავიდეთ სადმე და მოვასვენოთ
ხალხი ისედაც შეწუხებული?..
მე ამას, შალვა, პიტომ არ ვამბობ,
რო შევურიგდეთ ბოროტებასა,
არა!.. ახლა ჩვენ ახალი გზებით
უნდა ველოდეთ გამარჯვებასა...
თორე, შენც იცი, რა ჩემი გული
არ შეუდრკება მტერთა მრავლობას;
თავისუფლობის ქწყურვალე სული
ველარ აიტანს, ველარ მონობას!..
კარგა ხანია უარყავ ქოხი,
დავტოვე დედა, დედა მშობელი,
დავტოვე ჩემი პატარა ძმაი,
მათთან ცხოვრებას აწ აღარ ველი!
მე ვიყავ წინათ მათი მრჩენელი,
მე ვიყავ დედის შევება, იმედი...
ეჰ, რა იცოდა, თუ შევების ნაცვლათ,
მას მიულოდა ეს მწარე ბედი!..
როგორც-კი ოდნავ წამოვიზარდე,
მე სამუშაოთ წავეღო ქარხნებში...
იქიდან ხშირათ ვაწვდიდი გროშებს,
გროშებს ვანაქედს ოფლის ზვირთებში.
და მით ცხოვრობდენ... პაწა ბიკიკო

სოფლის სკოლაში კარგათ სწავლობდა...
 ბედ-შავი დედა ჩვენ მეზობლებში
 სულ მე მაქებდა, სულ ამაცობდა,
 მხოლოდ მას წუხდა, რომ მე ხშირ—ხშირათ
 ვეღარ მხედავდა, ვერ მნახულობდა...
 დღეს-კი რომც მსურდეს, მაინც ვერ მივალ!..
 საწყალი დედა! სულ თლად დაობლდა!..
 და აწ, აბა, გზას, როგორ გადვუხვევ?
 ან-კი რომც მსურდეს, ვით შეიძლება?
 არა, შალიკო, ჩემი ცხოვრება
 სანატრ განთიადს შეეწირება!
 საქმე ის არი, რომ უნაყოფოთ
 თავის განწირვამ არ ჩაიაროს,
 და ჩვენი სისხლი ბოროტ მტრებისგან
 ცუდათ, უაზროთ არ დაიღვაროს!
 აი, ამიტო ვარჩევ, გავშორდეთ
 ახლა ჩვენ, ძმაო, ამ არე-მარეს,
 და შევეფაროთ დრომდი ქარხნებში,
 სადაც მშრომელი ოფლსა ღვრის ცხარეს...
 შალვა.

ეჰ, მეგობარო, შენ გავიწყდება,
 რომ ჩვენ კველ და კვალ დაგვეძებს მტერი,
 და, თუ გვიპოვა, ხელში ჩაგვიგდოს,
 შემდეგ ვერ გვიხსნის ჩვენ ვერაფერი.
 იქ სულ ადვილათ ჩვენ შეგვიპყრობენ,
 ჩაგვკეტენ საზარ საპყრობილეში;
 ვეღარ ვიხილავთ სინათლეს დღისას
 და ვერც მზის სხივებს ჩვენ თავის დღეში.
 ისე გავქრებით, რომ ჩვენა კვალი
 არ დაჩდება გზას ცხოვრებისას...
 სიკვდილის დღემდი უნდა ვისმენდეთ
 სევდიან ჟღერას ბორკილებისას...
 და ასეთ სიკვდილს განა არა ჯობს,
 რომ კვლავ ვეკვეთოთ მდებრათ ბნელ-წყვედიანს,
 მანამ ვიბძოლოთ, სანამ ვიხილავთ,
 ძმაო, ჩაგრულთა სანატრ განთიადს?
 განა დღეს ისევე არ იტანჯება
 მშრომელი ხალხი-მუშა, გლეხობა?
 განა დღეს ბოროტ სულთა ხარხარი
 შხამის ისრებათ გულს არ ესობა?
 განა დაიძახებრა ჯერ ბორკილები?
 განა არ სუფევს უსამართლობა?
 განა ხალხს არ სურს, რომ დაამღეროს

გულით სანატრი ერთობა, ძმობა?...
 არა! არძალუდთ უკუ-მრღვეველთა,
 რომ განამტკიცონ თვისი მეფობა!
 აღსდგება ხალხი ძლევა-მოსილი
 და ბნელი ძალაც მყის დაემხოზა!..
 აი, გახედვე ამ მძინარ სოფლებს,
 ამ ტურფა წალკატს, სამოთხისებურს,—
 კვლავ გაიღვიძებს და კვლავ აღსდგება,
 და მტერს შეძახებს ის თავისებურს!
 ის არა ერთხელ აოხრებულა,
 ბევრჯელ მორწყულა სისხლთ წაკადულით...
 ვინ იცის, რამდენ-ვაშკაცის გული
 იქ გაბასრულა მტრისა შურდულით!
 ვინ იცის, რამდენ უმანკო ასულს
 სული წამებით დაუღვევია!
 ვინ იცის, რამდენ გულ-ნაზ დედებსა
 სისხლის ცრემლები დაუფრქვევია!
 ვინ იცის, რამდენ ჩვილი ბაღნების
 უმწეო კენესით მტერი დამტკბარა!
 მარა მშრომელი მრავალ-ტანჯული
 ძალის მოკრებით მაინც ამდგარა!..
 ჩვენი ვალია-ვემზადოთ მარათ.
 მებძოლოთ რაზმები შევაკავშიროთ;
 დრო რომ დადგება, აღვმართოთ დროშა
 და იმის დაცვას თავი შევწიროთ...
 დრო მიქრის, მიქრის... და მის წიაღში
 ქრება და ჩდება სუტი, ძლიერი;
 ყველას მიწა შობს და მიწა ჩანთქავს,
 უკვდავი არი მხოლოდ-და—ერი!
 და ჩვენც ამ უკვდავს შევწიროთ თავი,
 გადავცეთ სული მარადისობას;
 მისი შვილი ვართ, მასშივე გავქრეთ,
 ვესხვერპლოთ, ძმაო, ერთობას, ძმობას!
 მომეცი ხელი; ჩემო ვიორგი!
 ძმაზე უტკბესი მეგობარი ხარ;
 მიტო მიყვარხარ, სწორო გულისავე,
 რომ ჩაგრულ ხალხის მტკიცე ფარი ხარ;
 წამო ბინახე... კვლავ აღვადგინოთ
 მებძოლოთა რაზმი თავ-განწირული...
 ბძოლაში ვპოვოთ შვევა სულისა,
 გულს ნუ გავგოტებს ჩვენ აწმყო კრული!“
 შალვას ანთებულს, სახე ეღვარეს
 ვიორგი ტრფობით მისჩგრებოდა,

და მასთან ერთად ბძოლის წყურვილით
 ისაც ლელავდა და ენთებოდა,
 და, ბოლოს, უთხრა: „ მე მიჩქევნია,
 სხვაგან სიცოცხლეს, შენთან სიკვდილი! „
 და შალვა ძმობილს გადაეხვია,
 როგორც მიჯნურსა მიჯნური ტკბილი.
 და კვლავ შეფიცეს ერთმანეთს ძმობა...
 ფერდზე დაეშვენ თოფებით ხილში...
 ოდნავ მოჩანდნ სწრაფათ მავალნი
 აირ-სავსე თვარის სხივთა მკრთალ ქსელში...

თავი მესამე.

I

მკედრული დუმილის სუღარა
 გადაფენია სოფელსა;
 თავს დაციმციმებს ვარსკვლავნი
 და თვარე ძილში მყოფელსა.
 არ ისმის არსით ძახილი...
 მხოლოთ რიონი ჩხრიალებს,
 და მისი ცელქი ზვირთები
 თვარის სხივებში კრიალებს.
 რიონის პირათ ბილიკით
 ძმობილნი ერთათ მიდიან,
 ერიდებიან შარა გზას,
 ვიწრო გზაც ბევრი იციან,
 მიდიან, არას ამბობენ
 გარემოცულნი ფიქრებით...
 ტკბილ ნანას უმღერთ რიონი
 თავის ჩხრიალა ზვირთებით...
 უცებ, საითღაც გაისმა
 მოთქმა-კივილი ქალისა,
 კივილი გულის დამწველი
 და თავდამცემი ზარისა.
 გაისმა... და კვლავ დაყუჩდა,
 დატკბა, დადუმდა ყოველი...
 მარა, ჰა, ისევ აკივლდა,
 თითქო კბენს სისხლის მწოველი...
 მყისვე შეჩერდნ ორივე,
 გარშემო იცქირებოდნ;
 თანამგძნობ გულის ტკივილით
 ყოველ კვილზე კრთებოდნ.
 თქვეს: მივეშველოთ ახლავე,
 დროს ნუ ვაყონებთ ჩვენაო,

დროზე შეეწყვიტოთ ბედ-შავის
 ცრემლის ღვრა, ცრემლის ღენაო
 და გადაეშვენ ლობეზე
 ჭაბუკნი აჩქარებულნი;
 მარდათ გარბოდნ, სწრაფობდნ
 საშველათ გულ ანთებულნი...
 მიუახლოვდნ ლამაზ სახლს,
 წამოდგმულს მაღალ თლილ ქვებზე...
 სწრაფ აირბინეს ორივემ
 ქვითვე აღმართულ კიბებზე...
 გაღებულ კართან მივიდნ,
 ნახეს სურათი საზარი:—
 ვინ იქნეს, იმის დანახვამ
 რომ არა დასცეს თავზარი?
 მოხუცი ღვდელი, შეკრული
 ტახტზე საზარლათ კვნესოდა,
 თავს დადგომოდა მცარცველი,
 მისი მას არ-რა ესმოდა.
 იქავე ღვდლისა მეუღლე,
 მოძალეებს ძალით ეჭირათ;
 მისთვისაც სათუთ მაჯებზე
 ბაწარი შემოეჭირათ...
 მათი ასული-ვარდო-კი
 მხეცებსა ეომებოდა,
 თავისი ნაზი ხელებით
 იბძოდა, არ ნებდებოდა.
 თმა აბრეშუმის გაშლოდა,
 შვენოდა სახე-ელვარეს;
 კისფერი ტურფა თვალები
 გაბწყინებოდა მღელვარეს.
 იბძოდა, არ ნებდებოდა,
 შემოეკრიბა ძალები...
 მარა, ჰა, ორმა მოძალემ
 მაგრათ გაუკრეს მკლავები...
 ამ დროს გაისმა შალვას ხმა
 შეუბოვარი, მჭექარე,
 და გადაიჭრა ლომივით
 ცეცხლ-მოდებული, მგზნებარე...
 და გოგიმც მეღვრათ შესძახა:
 ასწიეთ მაღლა ხელიო!
 აღარ გაინძრეთ, თუარა
 ვერ გიხსნით ვერაფერიო!
 მყისვე გაშემდნ მცარცველნი,

მენი დაატყდათ თავზედა,
ხანჯლები თრთოლვა-კანკალით
დაყარეს იატაკზედა...

შეჩერდა შალვა... დაფიქრდა,
არას ამბობდა მწუხარე...

და, მერე, ისევ გაისმა
მისი ხმა მღელვარ-მქუხარე:

„— თქვე საზიზღარნო, პირ-შავნო,
მშობლის შემრცხვენო შევიღებო!

რასა სჩადიხართ? რას შვრებით;

წყვლიადში გამოზღიღებო?

განა ცოტა ყავს მტანჯველი

ამ ქვეყნის ბედ-კრულ შევიღებსა,

რო თქვენც მას შემოსევიხართ,

ჩგლისებ ილესავთ კბილებსა?

წადით, გაგვშორდით ახლავე,

ქურდ-ბაცაცებო, მხდალებო!

ერიდეთ, მარად ერიდეთ

ჩვენს რაზმსა, ნაძირალებო!“

თავ-ჩაქინდრული მცარცველნი

უსიტყვოთ გარედ გავიდენ;

შეშინებულნი, მხდალები

კიბეზე რბენით ჩავიდენ...

მანამ გიორგიმ შეკრულთა

სწრაფათ დაუხსნა ხელები...

ლოცავდენ თავის მხსნელებსა,

ხლიოდათ შვების ცრემლები...

ხოლო ვარდო-კი მდუმარეთ

შალიკოს მისჩერებოდა,

იმის ნაზ შუქ-მფენ თვალებში

გძნობის ზღვა იხატებოდა...

ხან ფითრთებოდა, კრთებოდა;

ვარდს ცვარი ეპკურებოდა:

ხან მისი თეთრი ღაწვები

მხესავით ელვარებოდა;

ხან ცრემლში მცურავ თვალებსა

ნარნარათ დაბლა დახრიდა,

და მისი ბძოლის თითებით

თმებს მხრებზე გადაიყრიდა:

შემდეგ-კი ისევ შალიკოს

თვალს ნაზათ მიანათებდა...

და ეს შეხედვა ქაბუქსა

გულს უთრთოლებდა, ანთებდა.

ვით ცის ცარმტაცი შვენება

და ანგელოზი ციური,

სულში ჩაეჭრა სხივებათ,

ნათელ სიხივებათ ღვთიური...

მარა გიორგის ხმამ მალე

გამოარკვია ძმობილი,—

შეკრთა... და მალე დასძლია

გძნობები გულში შობილი...

დაემშვიდობენ სამთავეს,

უსურვეს ძილი ნებისა,

და უოხრეს. „შიში არ გექნეთ

აწ თქვენ იმ მცარცველებისა...“

ლოცავდათ ორვეს ცოლ ქმარი,

საშინლათ განაწვალები...

ვარდო-კი სევდით შალიკოს

თან გააყოლა თვალები...

გავიდენ გარეთ ძმობილნი,

ეჩქარებოდათ, სწრაფობდენ...

თვარე მთებს მიფარებოდა,

მხოლოთ ვარსკვლავნი ნათობდენ...

II

ძილ-გამკრთალი იწვა ვარდო,

უღელავდა გული ვნებით;

შორს ილტვოდა, შორს ფრინავდა

ნაზ ოცნების მარდი ფთებით;

გული ისე ტკბილათ ძგერდა,

თითქო სვამდა ნექტრის წყაროს,

თითქო ჰვრეტდა სხვა სამყაროს,

გულის წარმტაცს, სანეტაროს...

ხან-კი უცებ შეკრთებოდა,

გაუბრებდა ტანში ჟრჟოლა,

თითქო იმის თვალების წინ

თვით ღემონმა გაიქროლა,

თითქო ადგა თავს ჯალათი,

სახე-მკაცრი, შესაზარი,—

და, მის ნორჩ გულს, ტანჯვით ლევდა,

აკენესებდა შიშის ზარი...

აი, ამ დროს შალვას სახე,

სხივოსანი, მოელვარე

გაუქრობდა მოჩვენებას...

ამშვიდებდა სხივ-მფინარე.

და ვარდიკოც, გულ-დამტკბარი

შეცქეროდა თავის მხსნელსა;

სულის ღელვით ქსოვდა, ქსოვდა,

ნაზ ოცნების სათუთ ქსელსა;
 და ამ ქსელში გახლართული
 შეხაროდა სხივ-მფენ სახეს, —
 ისიც თითქო უღიმოდა
 და უგებდა ტრფობის მახეს...
 ვარდოს თითქო იგი სახე
 უწინც სადღაც დაენახა
 და ქალწულის ნაზ ოცნებას
 გულის სატრფოთ დაესახა.
 მარა დღემდი სატრფოს სუნთქვა
 ასე ახლოს არ უგძენია;
 უმანკო გულს დღემდი ტრფობა
 ასე ღრმათ არ განუცდია. —
 და ახლა კი ძილ-გამკრთალი
 მას შენატრის, მას იგონებს;
 სატრფოს ღიმი ნექტრით ათრობს,
 სატრფოს სევდა გულს უღონებს...

III

ჰოი, ფიქრთა ანგელოზნო,
 საქართველოს ნაზნო შევიღნო,
 კაეშნიან ბალ-წალკოტში
 შეგების ვარდათ გამოზდიღნო!
 რამდენ თქვენგანს ბნელმა ძაღამ
 გულის სატრფო გამოსტაცა,
 ბორკილების ჩხარა-ჩხურით
 შორს, ცივ მხარეს გაიტაცა!
 რამდენ თქვენგანს უნუგეშოთ
 დაუღვრია ცრემლი ცხარე!
 რამდენ თქვენგანს, აი, ახლაც
 გულს უდაგავს სევდა მწარე!..
 ეჰ, შენც, ჩემო ტურფა ვარდო,
 დევნილს სხვერპლათ ეწირები,
 ვერც უმისოთ გაიხარებ,
 ვერც მის ტრფობას მოესწრები!

ობოლი მუშა.

(შემდეგი იქნება.)

ბ ძ ო ღ ი ს ს უ ლ ი .

ვერა! მონა ვერ შეიძლებს
დაატყვეოს ბძოლის სული...

ვერ შეიძლებს გალიაში
 დააკაოს ფთებ-შეკრული...
 დაიქუხებს... გაკვეთს, გაკვეთს
 ბნელ გალიას წყევდიადისას!
 გაკვეთს, გაკვეთს... კვალათ პორფირს
 წამოისხამს ნათელ მზისას!

გაკვეთს... მძლავრათ ფთებ გაშლილი
 მოველეება მაშვრალთ კერას,
 ცრემლს ააშრობს, ოხინათ შესცვლის
 უიმედო გულის ძგერას...

ის სიყვარულს, ბნელში მცურავს
 გზას უნათებს, ვით ლამპარი;
 ლალათ დაქრის, დანავარდობს,
 იმედების მოუბარი!

დაიქუხებს?.. გაკვეთს, გაკვეთს
 ბნელ გალიას ცის ასული!
 გაკვეთს, გაკვეთს... კვლავ გაშლის ფთებს
 ბძოლის ჟინი, ბძოლის სული!

მინა რაქველი.

* * *

(ნაწყვეტი)

ოჰ, კვლავ სიცივე, ქარი კვლავ ზუის,
 თლად არე-მარე კვლავ ითოშება;
 თეთრ სულარის ქვეშ, ტანჯულთა კენესა
 კვლავ ამოისმას ღ გულსა წვდება...
 იგი ხმებია ჩავრულთა ხმები...
 ცხოვრების ველზე ამოძახილი
 და ის ნაკადი, მთებზე რო მოქუხს,
 ცრემლია, ცრემლი, მათგან დაღვრილი...

ა. ხაბულიანი.

და დღესაც მივძარი...

(ეუძღვნი სანდრო მეგრელს)

ღიას, გამშორდი და, მას შემდეგ, არც მინა-
ხაგხარ,

გნატრობდი, ძმაო, მარა შენკენ გზა

არვიცოდი,

გულში ვიკლავდი ნახვის წყურვილს ტოლ-მე-
გობარის,
მარტოობის უამს, შენზე ფიქრით ვიცრემილე-
ბოდი...

და მარტო ვიყავ.. ჩემს ვარშემო ისევ
ბნელოდა,
ჩემ ასეთ ყოფით ბნელეთის ძე მხიარულობდა:
(ველარ წამიხვალ, სინათლისა მოტრფიალეო)
სიცილ-ხარხარით და დაცინვით თავს დამძა-
ხოდა..

მეც მაშინ შენებ ჩემი ყოფის, ძმავე, შემეშინდა,
რო მეგობრისა საიმედო ხმა არ მესმოდა...
მარა დღისაკენ მიმავალი წინწინ მივექროდი
და შიშს სინათლის მოტრფიალე აღარა
ვეძნობდი..

და დღესაც მივექრი.. გზა-სავალი თუმცა გძელია,
მარა გზის ბოლოს ქვეყანაა, ძმავე, ნათელია!

სანდრო გურული.

ქვენათ თ. თაძთაქიფვილს!

მე შენ გლოცულობ ისე, ვითარც ხატს
ხვთაებისას,

შენ ერთსა გწირავ სხვერბლათ წუთებს ნე-
ტარებისას;

ჟამსა ლოცვისა ხელაპყრობილს, სურათი შენი
წინ მისვენია, ამბორს გიდღენი, ვარ მონა შენი...

ვითარც ქურღმი, მეც ისევე შენ გარს გეფლები,
შენს დასატყობლათ ცათ მოვკრიფე საამოხმები,
სულის ტაძარში მოგეც ბინა, ვით ხატსა ძლიერს.
ანგელოზთ, გუნდი შენ გიმღერენ მრავალ ჟამი-
ერს...

როს მნათობი მზე გულ-მკერდს გითბობს, თვისი
სხივებით,

დილის ცვარ-ნამი ყელს გიქარგავს ვეცხლის
მძივებით

მე ლოცვათ ვდგავარ, ჩემს ტაძარში, ხელ
აპყრობილი,

ხან ამბორს ვუძღენი შენს წმიდა ხატს, მუხლ
დაყრდნობილი.

აბოლი მწყემსი.

ქ. გორი.

პრიზავარის ღვდელი.*)

(დასასრული)

X

მთელი სოფელ გვემულის მცხოვრებლები
სასოფლოზე გამოსულან. აქა-იქ ჯგუფუ-ჯგუფად,
უფრო-კი ახლგაზდა ბიჭები, სხვა და სხვა
საგნებზე ლაზღანდარობენ და ოხუნჯო-
ბენ.

—ხალხნო, მიმართა მამასახლისმა შაყრილ
სოფელს—ე ღვდელი რო გაგვექცა და უღ-
ვდლოთ დავრჩით, არ უნდა მოვიკითხოთ?
სამი-ოთხი თვეა წავიდა და აღარ მოდის.
როგორც ეტყობა, იმას ჩვენი ჯავრი აღარა
აქვს; იმას რო ჩვენი ღვდლობა აღარ უნდო-
დეს, ჩვენ ღვდელი არ გვინდა? ჩვენ არ უნდა
ეუბატრონოთ ჩვენ თავს? ზოგს განათვლა უნდა,
ზოგს მონათვლა; ზოგი უზიარებელი კვდება;
ზოგი სამი-ოთხი დღე დაუმარხავი რჩება, სა-
ნამ ღვდელს იშოვნიან. უნდა გავჩუმდეთ, ხმა
არ უნდა ამოვიღოთ? აი, ამისთვის შეგყარეთ
დღეს, რო მოვილაპარაკოთ ამ საქმეზე. თუ
ის ღვდელი აღარ დაბრუნდება ჩვენთან, სხვა
მოვითხოვოთ; ახალი კანონით შეგვიძლია
ვინც გვინდა, ის ამოვირჩიოთ ღვდლათ.
მთავრობას ჩვენზე აქვს მონდობილი ეხლა
ღვდლის ამორჩევის საქმე. შევადგინოთ განა-
ჩენი, რომ ახლანდელმა ღვდელმა დაგვანება
თავი, აღარ მოდის მრევლში; მოუწათლოვი
და უზიარებელი იხოცება ხალხი; ვთხოვოთ
მთავრობას, რო მოგვაშოროს სულ თავიდან
და, მის ნაცვლათ, დაგვინიშნოს ღვდლათ ის,
ვინც პატრონობას და მოძღვრობას გაგვიწევს;
გვემსახურება ერთგულად და ერთსულად. რას
იტყვით ამაზე ხალხნო?

—აბა, ახალი ვიღა მოვითხოვოთ? წამოი-
ძახეს აქით-იქიდან.

—აი, თუნდ მაქსიმე ღვდელი! ვიცნობთ,
გვიცნობს, შეთვისებულია ჩვენთან. არც ასე
გამოგვეკიდება მისაცემზე, როგორც ან-
ლანდელი ღვდელი გვიშვებოდა და ტყავს
გვაძრობდა; ყოველთვის შეგვაძლებიებს

*) იხ. „ცხოვრება“ № 6.

და დახმარებასაც გაგვიწევს. ხო გახსოვთ, როგორ პირში ედგა და ებძოდა ი პეტრე ლედელს ჩვენი გულისთვის, როცა აქ პრიეტნიკათ იყო!

— ბიჭო, აი, ხარება? წამოიძახეს აქით იქიდან და გააბეს ხუმრობა შერეული საუბარი: „იმისთვის მენახრობაც ბევრი იყო და ღვდლობა ვინ მიაჩივს იმ ასეთ— ისეთმა?“ იმას ორთუქულიან თხას-კი მივაბარებდი!“ აი, ღედასა, ბევრი ჯოხები არა მართებს ჩემი! მართებს და, აბა, ეხლა ვადაგიხდის, აი! უყურე შენ რამდეჯერ დაგახელოს!“ მე კიდევაც ის ბიჭი ვარ! თუ გამაჯავრებს, ეხლა-კი დევნებურები და ვერ შევბედავრა? ისევ ანაფორა ეცვას-რა. „თუნდ ვაცერი, თუნდ გამტკიცე ნაცარიო, ის დაჩეხა, რაც არაო“. ისევ ის ხეპრე, მიდგა და მოუსვენარე, ხარება არ იქნება, რაც იყო?რა, მისი მაკურთხებელი თავის ავკარგიანობასა და მადლს იმას გადაცემდა? „კაცებო, ეხლა იმან მკვდარი უნდა აცხონოს?“ ვაი, იმის ნაცხონებ მკვდარს-კი რა ვუთხრა!“...

— ხალხნო, აქ სახუმაროთა და სამასხაროდ-კი არ შეგყარეთ, — საქმეზე ილაპარაკეთ, რო გადავწყვიტოთ, ან ჰოო, ან არა!

— მამასახლისო, გამოგვასუხა ერთი მოხუცებული. — სწორეთ ისეთ საქმესა ჩადიხარ, რო, ვისაც ემასხარავენა, იმასხარაოს, და ვისაც ეწუხება, იწუხოს! აბა, მამაგიცხონდა, ერთი დაფიქრი, რა საქმე მოგიწადინებია?... რატომ არ დაგვეხსნებით, კაცო, რა გინდათ ჩვენგან? ცალიერი სულები და შეგვჩა, მეტი ხომ აღარაფერი ღ სულამისაც გინდათ ჩამოგვწვდინოთ ხელი? ნამუსი და მართებულობა აგვხადეს— აღარა გვაქვს! ცოდო-მადლი დაგმეთ და ფეხქვეშ გათელეთ! ერთად ერთი ღვთის შიში (რწმენა) — და დაგვჩა — ეგეც გინდათ, რო ხელიდამ გამოგველიჯოთ? მაგასაც რო გვართმევთ, რას გვაძლევთ, მის მაგიერს ისეთ რამეს, რო ამან ისევ ადამიანებად დაგვარჩინოს და ნადირებად არ გადავიქცეთ?... ჩვენ კარგი ღვდელი გვყავს! რა დააშავა? ქურდობა იმას არ უქნია, ბოზობა არ ჩაუდენია; არა ვისთვის უცემია და არც იმისთვის უცემია ვისმე. თავის სამსახურს ასრულებდა ყოველ-

თვის და თხოულობდა კიდევ თავისას. აბა, სხვა რა დაუშავებია? რა დასადარებელია იმასთან შენი ხარება, რომელსაც ყველა ავკაცობაში გათქმულია!

— თუ კი ღვდელია ის შენი მოძღვარი და მეგობარი, სად გარბის? რატო მრევლში არ არი და არ უფლის მრევლს?

— მე იმისი მეგობარი არც ვარ და არც როდის სმე ყოფილვარ! მე სიმათლეს ვლაპარაკობ. — კი სიმათლეა, შენმა გამარჯვებამ! სამი ოთხი თვეა გაქცეულია, თვალით არავის უნახავს და კიდევ იძახი, კარგი ღვდელი გვყავსო.

— გააქცივეთ ღ გარბის! სულს აქით აღარაფერი შეარჩინეთ; რაც რამე ებადა კაცს, სულ ერთიანად მოჰტაცეთ და მოჰპარეთ. მუქარას მუქარაზე უთვლიდით ცხადლივ და მალეით, მოგკლავთ, თუ არ გაგვეცლები აქედამაო და რაღა დააყენებდა აქ?

— ჰაი, შე ქოფაქო შენა! ეცა გაბრაზებული შექრუა, რომელიც აქამდი ხმას არ იღებდა და თავის ამხანაგებთან ერთად შხოლოდ ყურს უგდებდა, ვინ, რას იტყოდა. შენ გადაჰყეყეჩებულხარ, დღეს, თუ ხვალ უნდა ჩაძაღლდე და მარტო შენი აძაღლებული სულის დარდი და ფიქრი-ღა გაქვს! მითომ და უნდა გაცხონოს იმ შენმა მატყუარა ღვდელმა? მე ვიცი, რაც გაცხონებს შენ!... შენ შენი ამატლებული სულისთვისა ჰკდილობ და იმას-კი არა ჰფიქრობ, რო ხალხი მატყუარა ღვდლების ოინებით იღარსლება და ღარიბდება. ჩვენ გვინდა შეუსუბუქოთ ხალხს ღვდლის გადასახადი და, ის შენი დაწუნებული ხარება ღვდელი თანხმობას აცხადებს, რო დაგვეჯერდება ყოველიფერში ნახევარს იმისას, რასაც აქამდი ვაძლევდით გაქცეულ ღვდელს. ჩვენ ეს სიკეთე გვსურს სოფლისთვის და იმისთვის მოვიმლომეთ ჩვენცა და მამასახლისმაც იმ ღვდლის გაძევება და ხარებას გადმოყვანა ჩვენ სოფელში. ჩვენ გვინდა სოფელს ღვდლის გადასახადი შეუსუბუქოთ და შენ — კი გამოდიხარ და გზაზე გველობები შენი ხეპრე ჰკვითა და ღაპარაკით.

ვიცი, როგორც შეუსუბუქდება სოფელს გადასახადი!...

—შენ შენი ცხვირის მეტი არაფერი იცი!

— გაჩუმიდი ერთი. საქმე არა გაქვს, რომაგას ელაპარაკები? უთხრა ყასუმამ. რა გინდა იყბედოს თავისთვის; მაგას ვინ რასა ჰკითხავს.

— კაცო, შენ ვისი რა მოენე და მოპასუხე ხარ, უთხრა მოხუცებულს შვილმა, რომ ყველას მაგიერად შენა ჰლაპარაკობ? არ იცი, მაგისთანა ლაპარაკს რა მოჰდევს? ნინიკოსა და მარკოზას ამბავი დაგაგიწყდა?

— რა, ასე ვთქვათ, მამკლან! მეტს ხო ვერაფერს მიზამენ? დაე, მამკლან! ტყავი აღარ ვარგა ჩემი და ხორცი. ბრალი თქვენი, შვილო, რომ თქვენ მოგვლავენ სულიან ხორციანად ხარება ღვდელი და მისი მინავარი ხელმძღვანელები, თორე მე რა? მე ჩემი სოფელი მოვქამე. ავი იყო, თუ კარგი; შავი დღით იყო, თუ სიამოვნებით, მე გავატარე ჩემი წუთი სოფელი. და მამკლამენ, თუ მოვკვდები ჩემი წერით,— ისე მოვკვდები, რომ საფლავში თან ჩავიტან სეინდისიანობასაც, ცოდნა-მადლიანობასაც და ღვთის შიშსაც; მოვკვდები ადამიანად და არა პირუტყვად.

XI

— გამარჯობა, ღვდელიო! მიესალმა მღვდელ ხარებას ერთი მრევლთაგანი.

— აი, გაგიმარჯოს, ჩემოზაქარ!

— კი არ მეხერხება, ეს ოხერი, ღვდელისთვის „გამარჯობის“ თქმა; უწინდელი „შენდაო ბატონო“ ჰჯობდა.

— ისე გაქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში, თქვე საცოდავებო, მონობა, რომ ყველგან ბატონი გელანდებთ და გინდათ, რომ, უთუოდ, ბატონი გყვანდეთ.

— რა ვქნათ, ალბად, ეგრეა ზვენი წესი...

— რას გაურჯიხარ ასე დილა აღრიანად?

— რაღა რას გაურჯივარ, შე დალოცვილო შენ-კი არ იცი, თუ რისთვისაც გავირჯებოდი?

— ვიცი და კიდევ აგავლევ წითელ ქალაღლდს.

— წითელ ქალაღლდს ამაგლევ და... ტელორისტები?... იმათ რაღას ეუბნები?

— შენ ვაიკარ ჯიბეს ხელი და ამიღე! ტე-

ლორისტების ხმალი ჩემ კასერზე იყოს.

— რაც გადაწყვეტილია, შენ ხათრი-ჯანი იყავი, იმაზე მეტს გროშსაც ვერ მიიღებ. ხოლოთ მე მინდა გთხოვო, რომ მადროვო, ესლა ფული არა მაქვს ხელში.

— რა ბძანებაა?... ჯვარის წერა და ნისიად! ვისა და სად გაუგონია ნისიად ჯვარი წერა?

— სადა და აქავე, ჩვენ სოფელში. ჯერ ხუთი-ექვსი მე თვით ვიცი, რომ ნისიათ აქვთ დაწერილი ჯვარი წინანდელი ღვდელისგან. შე დალოცვილო, შენ-კი არ გახსობს განა?

— მე რას დავდე წინანდელ ღვდელს. იმას თავისი კევა ჰქონდა, მე ჩემი კევა მაქვს.

— როგორ, თუ რას დაჰდევ? მაშ, რათა გვპირდებოდი, როყველაფერში დავებმარებით, შეღავათს მოგცემთ, ოღონდ „პრიგავარი“ შამიდგინეთ და მე მამითხოვეთ თქვენ ღვდელათო? გავგადგებინე წინანდელი ღვდელი, გადმოგიყვანეთ შენ და, მაშ, არ უნდა აასრულე შენი პირობა? ე რაც წინანდელ ღვდელს მიჰქონდა ჩვენგან, შენც ის მიგაქვს და, აბა, რაღა შეღავათი გვაქვს და, ან რა შემწეობას მოგვცემ სხვას, თუ ან ჯვარი-საწერს არ დავგაცდი, ან სხვას?

— მე მამიცია შენთვის, ან სხვისთვის, რამე პირობა?

— ვინც „პრიგავარი“ შავგადგენინა, იმათ ხო მიეცი.

— შენც წადი და იმათ მოედავე, ჩემთან საქმე არა გაქვს.

— რომ არ შეიძლება, რა უმადური და სიკეთის დაუნახავი ხალხი ხართ! ჩაერია საუბარში ღვდელის ცოლი.—განა შეიძლება შედარება თქვენ წინანდელ ღვდელსა და ამისშორის? ის ძველი კაცი იყო, ძველი მიმართულებისა; ეს ღვდელი-კი ახალი კაცია, ახალი აზრებისა და ახალი მიმართულებისა. თქვენ არ გესმით, თორე, რომ გესმოდეთ, მაგისთანებს აღარ ილაპარაკებდით და ერთი ორათ მეტს მიჰქვამდით ამას. ვიდრე უწინდელ ღვდელს აძლევდით. თქვენ-კი იმისი მიცემაც არა გსურთ, რაც ეკუთვნის.

— აბა, შე დალოცვილო, მაგას რომ ამობ, ვინ ეუბნება მიცემაზე უარს? აკი მოვასხენე-რაც

გადაწყვეტილია, მოგართმევ, მხოლოდ მადრ-
ოვე-მეთქი.

— ჰო და! მეც მაგაზე გეუბნები, რომ არ
გესმით-მეთქი. ხო ჰხედავ, რომ ესეც ისეთივე
მუშა არი, როგორც შენ. შენ რომ იმუშავებ
ხოლმე, სამუშაოს მაშინვე არ ართმევ, ნისიდ
სტოვებ ხოლმე?

— იმდენი ღმერთმა მე მიშველოს, რამდე-
ნი ეხლაც ბევრზედ იყოს დარჩენილი ჩემი სა-
მუშაო....

— მე თვით ღვდლის ქალი ვარ, მარა
ჩემი ქმარის ადგილას ახლა მინაჩემი რა ყო-
ფილიყო, მე თავის ღღეშიაც არ დავიცავდი
იმას და არ დაგიწყებდით მტკიცებას, რომ მე-
ტის ღირსია-მეთქი: რათგანც ის, როგორც
ძველი კაცი და ძველი მიმართულებისა, არ
იქნებოდა თქვენთვის სასარგებლო. სულ სხვაა
თქვენთვის ჩემი ქმარი, ეს თქვენთვისა ცდი-
ლობს სიტყვითაც და საქმითაც, თქვენ სასარ-
გებლოდ მოქმედობს და თქვენ-კი იმდენი მო-
ფიქრება არა გაქვთ, რომ თქვენს მოკეთეს და
გულ შემატკივარს, თქვენს პატრონს პატივი
სცეთ და შესაფერად აცხოვროთ. აბა, ამ სახ-
ლს შეხედე! განა ეცხოვრება განათლებულ
და გავითარებულ ადამიანს ამ სახლში? და,
აბა, თუ ერთმა ვინმემ დაატოკოს პირი და
თქვას, რომ ამისთანა სახლში არ შეფერის
ცხოვრება სოფლის მოძღვარს და ხელომძღვანე-
ლს. თვით რომ არაფერს ამბობს და არ
უნდა თქვენი შეწუხება, თქვენ უნდა გაჩუმდეთ
და თვალი აარიდოთ ამის შეუფერებელ მდგო-
მარეობასა და ცხოვრებას?

— აბა, სახლს რა ჰქირს, რომ ბძანებ არ
შეჰფერის აქ ცხოვრებაო? უწინდელმა ღვდე-
ლმა მთელი თვისი ცხოვრება ამ სახლში არ
გაატარა? კრინტიც-კი არასოდეს არ დაუძრავ,
რომ არ ვარგაო, და ღვდლის ცოლის პირი-
დან ხო სიტყვა არ გაგვიგონია არც ავზე,
არც კარგზე.

— იმან რომ გაატარა თვისი სიცოცხლე აქ,
აკი გითხარ, ის ძველი კაცი იყო, ძველი მიმა-
რთლებისა და არც იმას და არც მის ცოლს
არც-კი ესმოდათ, რა არი კულტურა დაკულ-
ტურული ცხოვრება. კულტურულად გავითარე-

ბული ხალხი-კი, როგორც მე და ჩემი ქმარი
ვართ, ვერ ვიშენებთ ცხოვრებას საქათმეში,
ანუ ბოსელში.

— ამისთანა ბოსელი მეცა მქონდეს-და!...

— შენ სხვა ხარ! შენთვის ეს იქნება
სასახლეც იყოს, მარამ თქვენი მოძღვრისა
და პატრონის საკადრისი-კი არ არი და მო-
მღურავი არუნდა ამყოფოთ თავის ღღეში
თქვენი მოძღვარი.

— თავის ღღეშიაც არ მაიმღურებს სოფელი თა-
ვის მოძღვარსა და პატრონს, თუკი დაინახავს
და დარწმუნდება, რომ მართლა პატრონია სო-
ფლისა და გული შესტკივა სოფლისთვის. ჯერ
დაგვანახვოს ა ღვდელმა, დაგვარწმუნოს ამა-
ში და, თუ სოფელიც არ გადაუხდის და თვა-
ლის ჩინივით არ გაუფრთხილდება, მაშინ
გვისაყვედურეთ შენცა და ღვდელმაც. ჩვენც
მა რა გვინდა მეტი, თუ არ ის, რომ პატრონა
თა და გულშემატკივრათა გვეყვანდეს. აი, რომ
გული შესტკივა ჩვენთვის-იმისთვისა ვთხოვ,
რომ ნისიათ დამწეროს ჯვარი. თუ
არ ესა, როგორ გავებდავდი თხოვნას?

— შენ სულ სხვა ნაირად გესმის პატრო-
ნობა და გულშემატკივრობა. პატრონობა
და გულშემატკივრობა განა იმაში გამოიხატება,
რომ ჯვარი დაგწერო ნისიად, მოგინათლოო ნი-
სიად, სახლი გაგინათლოო ნისიად, ან სულ არაფე-
რი გამოგართოთ წესის შესრულებაში. ეს კა-
ცი თქვენი მუშაა, შეასრულა სამუშაო, უნ-
და დააკმაყოფილოთ, მისცეთ თავისი სამუ-
შაო, როგორც შენ, ან სხვას გაძლევენ სამუ-
შაო ფასს. უწინდელი ღვდლები მარტო წაი-
ლულულდებდენ ოროდენ ლოცვას და სხვა
არაფერი დახმარება და სარგებლობა არ გქო-
ნდათ რა იმათგან; საწესოს-კი უკლებლივ იღე-
ბდენ და ტყავსაც გაძრობდენ. ეს ღვდელი-კი,
გარდა იმისა, რომ სვინდისიერად გისრულებთ
საეკლესიო წესებს, სხვაფრივაც დაუღალავად
მუშაობს თქვენთვის: გასწავლით, თვალებს გი-
ხელთ, რომ დაინახოთ, ვინ არი თქვენი მტე-
რი და ვინ მოკეთე; თქვენი დამცველი და-
მფარველი სიტყვითაც და საქმითაც. ღვდლო-
ბამდისაც და ღვდლობაშიაც დაჩაგრული ხა-
ლხისთვის იძძოდა და იბძვის. აბა, დაილა-

პარაკოს ვინმე თქვენზე ცუდათ და დაჩაგვრა მოიძღომოს ვინმე თქვენი, თუ მაშინვე პირში არ მივარდეს და სასტიკათ არ შეეხდომოს. თქვენ არც-კი იცით, რამდენი მტერი გყავთ, რამდენი სხვა და სხვა პარტია ცდილობს, რომ თქვენზე გავლენა იქონიოს, ხელში ჩაგივლოთ, ყმათა და მონებათ გაგიხადონ-უწინდელი ბატონ-ყმობა მოაბრუნონ და დაგიწესონ. და, აი, ამისთანა პარტიებს პირში ედგა ჩემი ქმარიცა ჭ თვით ის პარტიაც, რომელშიაც ეს ირიცხება. მაშ, ეს პატრონობა და გულშემატიკობა არ არი? შენ-კი ისეთ რამეში ჰხედავ გულშემატიკობას, რაც სრულიად უსაფუძლოა ჭ შეუწყნარებელი. სიტყვიერადაც ეს იყოს თქვენი მოდარაჯე და პატრონი და ნივთიერადაც ეს დაგეხმაროთ! სადაური სამართალია? განა მარტო ეს არი მოვალე იზრუნოს თქვენთვის, სხვებიც მოვალენი არიან. ეს რომ სიტყვით და საქმით გეხმარებათ და გშველით, სხვამ კიდევ ნივთიერი შემწეობა აღმოგიჩინოთ!

— ვერიჩკა, ნივთიერი დახმარება ბურჟუაზული ტაქტიკაა, მიეშველა ცოლს ხარება ღვდელი. — პროლეტარიზაცია როგორღა მოხდება, თუ ყველას დავეხმარებით ნივთიერად ჭ გავამდიდრებთ. ჩვენ-პრაგმაში არ არი შესული კერძო პირთათვის ნივთიერი შემწეობის აღმოჩენა. ნივთიერი დახმარება, ჩვენი პროგრამის ძალით, მარტო პარტიისა და მისი საქმის სასარგებლოდ უნდა იყოს მიმართული.

— ეჰ, აბა, რა ვიცი, ჩვენი მზე ჯერ არც ამოსულა და, მგონია, არც ამოვიდეს, როდი სმე! კათმისა არ იყოს, ძროხა დაკლეს ზე წაშაკლესო, ცხვარი დაკლეს-ზე წამაკლესო, ჩვენი საქმეც ისეა. თუ-კი გამოსართმევი გამომერთმევა და არავინ შემაწევს-პარტიის კაცი იქნება, თუ ბატონი იქნება, ანუ ყმა, ჩემთვის სულ ერთი არ არის? აქ რაღა დახმარება და შველა იქნება? მგეოი შემჭამს, თუ ტურას-სულ ერთია: შეჭმა-შეჭმა.

— აბა, რაღა გელაპარაკოს შენ ადამიანმა იმის შემდეგ, როდესაც არ გესმის, რომ მაგ სიტყვებით შეურაცყოფას გვაყენებ ჩვენცა და იმ პარტიასაც რომელიც ერთად-ერთი ზრუნავს და იღვწვის საწყალობელი და ჩაგრულ მუშა ხალხისთვის.

— კარგია, ვერიჩკა, გეყოფა, გაანებე თავი! ტყუილათ იწუხებ თავს მაგასთან ლაპარაკით. კი მთქმელს, კი გამგონეც უნდა. ეს-კი, როგორც ეტყობა, არ არი ჯერ მომზადებული შეიგნოს პარტიის „ტაქტიკა.“

— რაღა ბევრი გვაგაძელო, ჩემო ზაქარია, ტყუილად გქონია იმედი, რომ ნისიად დაგწერ ჯვარს. მომცემ ჯვარის საწერს ხელში, ჯვარსაც დაგწერ; არ მომცემ და არც დაგწერ ჯვარს. მე არავის დავდეგ. რაც იყო წინა ღვდლის დროს, იმას უნდა გამოეთხოვოთ. წინანდელი ღვდელი რომ გაცლიდათ, აკი, იმის წყალობით, მეც ბევრი დამეკარგა ეს ჩვეულება ძირიან — ფესვიანად უნდა ამოვფხრა.

— არ დამწერ და, მეც აღარ მინდა ჯვრის წერა! მოახსენა მიმავალმა ზაქარიამ მოვავლებ ხელსა და მივიყვან შენ, ჯვარდუწერავად-კი...

რაღა საქიროა გაგძელება ამბისა და აღწერა მისი, თუ როგორ მიდის ახლა, ანუ შემდეგში, როგორ წავა ბედი სოფელ გვემულისა მაშინ, როდესაც მისს სამს „გამაფხიზლებულ“ ხელ მძღვანელს უკვე მიემატა მეოთხე-ღვდელი ხარება და მეხუთე-მისი მეუღლე ვერიჩკა.

მგონია, ექვი არავის უნდა დაებადოს მასში, რომ სოფელ გვემულის წინმსვლელობა და წარმატება უზრუნველ ყოფილია და მისი მცხოვრებნი მესვეურებათ გადაიქცევიან თვის მხარეში ზნეობრივისა და გონებრივ გავითარების გზაზე.

მელანია.

* * *

ტყვილია შენი ოცნება,
ტყვილია შენი ფიქრები!..
საჩუქრებს ნულარ მპირლები,
ტყვილიათაც ნუ მემუქრები.
არ მინდა შენი სიმიდრე

და არც ძვირფასი ლაღები.
მიყვარს მე ჩემი სამშობლო,
მე იმას ვენაცვალები.

შენ ვერ მომხიბლავ, წყეულო,
მელივით ნუ მეპარები,
თუ არ ამკუწავ ნაჭრებათ,
იკოდე, გაგეპარები.

გამიშვი, მეც იქ მოვეკლები,
სადაც მამკვდარან მამები,
სადაც, რო სისხლით მორწყულა
ტყე-ველი, მიწა-ყანები.

მამა მეძახის,, ანდერძსა“,
მამული მყვედრის,, ვალიო“...
არ მსურს მე შენთან სიკოცხლე,
იქ მინდა სული დავლიო.

სახალინელი.

უშრის ძიების სხვერკლნი.*)

VII

ელისაბედმა გიტოიასაგან სესხათ ფული რომ აიღო, რაშია გირაოთ თვისი საყვარელი, ოჯახის მარჩენელი მოზვერი მისცა, წამსვე ადგირობრივ „ატუკანტს“ ეწვია, სასამართლოში შესატანი თხოვნა დააწერია და საქმის გარჩევის დღეს დახმარება თხოვა. შრომის საფასური ერთი წითელი თუმნიანი ქალღლი მიართვა მას და დამშვიდებული სახლში დაბრუნდა.

ამ დღიდან ელისაბედი კვლავ ჩვეულებრივ კარგ ხანიათზე დადგა. მას დაუბრუნდა წასული სიხლისე და ოჯახურ ჭაპანის ზიდვას კვლავინდებური ენერგიით შეუდგა.

ყველაფერმა სახე იცვალა.

კეკელუცი მზე, რომელიც ამ ერთი თვის განმავლობაში მკრთალათ, დაღვრემილათ გადმოყურებდა სამყაროს, კვლავ გასხივოსნდა, ნაზათ გაუღიმა ელისაბედს და დაუშრეტელი ენერგია, სიხლისე ჩაბერა მას; მკვდართა სავანეთ ქცეულმა, უსიკოცხლო ბუნებამაც იცვალა ფერი. იქ, სადაც წინათ უბრალო, უმნი-

შენელო ხეივანარი იყო, ტურფა, თვალწარმტაცი წალკოტი გაჭიმულიყო, მთელი მიდამო სურნელოვანი ყვავილებით სავსე ბაღნარათ ქცეულიყო და სამეჯლისოთ იწვევდა ყოველივე სულდგმულს.

ელისაბედი წელში გაიმართა, თითქო მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდაო, თავისუფლათ ამოისუნთქა, პირისახეზე ნაოკები გაეხსნა, თვალები კვლავინდებურათ გაუბწყინდენ, ახალ-გაზდური ცეცხლით აენთენ.

ის აზრი, რომ საქმე სასიხარულოთ დააბოლოვა: ფული იშოვა, ვეკილიც აიყვანა საქმის საწარმოებლათ, რომელმაც სრული იმედი მისცა მას, რომ საქმის მოგებას არაფერი უდგია წინო, რაში თვითაც იყო დარწმუნებული, ყველა ესენი განუსახდვრელ მხიარულებას გვრიდა ელისაბედს.

მართალია ჯერ საქმე წარმოებიშია, მარა, რა მერე... კირილე ატუკანტი გაუკეთებელს გააკეთებს... მაღალი ღმერთიც ხო მისკენა, სიმრთელეს არ დაუკარგავს მას.

ელისაბედის მხიარულობა გაბრეილასაც გადაედვა. ერთი სიტყვით, ამ ერთი თვის განმავლობაში „დამძარბული“ ოჯახი კვლავ ჩადგა თვის კალაპოტში, ჩაება ცხოვრების ფერხულში...

საღამო ჟამი იყო...

ელისაბედი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ვახშამს ამზადებდა; გაბრეილა—კი სახლის წინ დერეფანში იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

— ხვალ ღმერთო შენით, ამ ეზოში სიმიდი უნდა მოგტეხოთ, ვოჯო *), გამხმარია და დროზე თუ არ მოგტეხეთ, ღორები შეგვიჭამს.---

—უთხრა ელისაბედმა ქმარს, დერეფანში სამ ფეხა დაბალი სკამი გამოიტანა და მის შორი-ახლო ჩამოჯდა.

— მე მგონია. ცო... ცო... ცოტას რომ დევიცდიდეთ... დევიცდიდეთ, უ... უა... უკმ თესი იქნება. .

— რაღას მუუცადოთ! კარგი დარებია და ნელ-ნელა მოგტეხოთ... ამასობაში ტყეშიც

სახელის მაგიერ ხშირათ „ვოჯოს“ ეძახიან ქმარს სოფლათ გურიაში.

გახდება სატეხი.

— რა... რა... რაფერც ჯობდეს... რა-
ფერც ჯობდეს... შენ უკეთესათ იცი...
გაბრიელა ყოველთვის თანახმა უხდებოდა
ელისაბედის გადაწყვეტილებას; იგი დარწმუნე-
ბული იყო, რომ ელისაბედი არ შეცდებოდა,
მისი საქმიანობა და შორს მქვრეტელობა კა-
რგათ ქონდა ვათვალისწინებული და ამიტომ
არაფერში არ ეწინააღმდეგებოდა მას.

ელისაბედიც მუდამ ამართლებდა იმს შე-
ხედულებას— იმედებს.

ახლაც არ ცდებოდა იგი. მართალია,
ჯერ-ჯერობით ადრე იყო სიმიდის მოტეხა, მა-
რიამობისთვე არ დაღუულიყო, ვახშობა კიდე
აკლდა სიმიდს, მარა ეს იმდენათ არ აფერხებდა
საქმეს, რომ ამისთვის ცდა დაეწყათ. იგინი
მარტოხელნი იყვენ და საჭირო იყო ადრიანა
შედგომოდენ ტეხა-კრეფას, თორე ისინი ჩამო-
რჩებოდენ მეზობლებს და გახსნილ ტყეში სი-
მიდს პირუტყვები გაუპარტახებდა.

ყოველივე ეს ჯეროვანათ ქონდა ელისა-
ბედს ვათვალისწინებული და, ამის დაგვართ,
კიდეც შეამუშავებია მოქმედების გეგმა.

— ღვთის წყალობით წროულს გა... გა...
გასაყიდი სი... სი... სიმიდლიც-კი დაგვრჩება...
კი დაგვრჩება... თქვა, ცოტა ხნის სიჩუმის
შემდეგ, გაბრიელამ და პატარა, ჩაღრმავებული
თვალები სიხარულით გაუბწყინდნ.

— იმდენი მოგვივიდოდეს, რო გიტოიეს
ვალს გვეისტუმრებდეთ, ბედნიერება იქნება.
ნახევარი წლის ვადა ძლივს-ძლივობით მომცა:
ქალიშვილი მყავს გასათხოვარი მზითათ და-
მჭირდებაო.

— გი... გი... გიტოიეს სხვანიერი კაცია...
სხვანიერი კაცია... იმის ვალს უ... უ...
ურის ვალი ჯობია ა... ა... ათასწილათ...
ათასწილათ.

— რა შექნა, სხვაგან ვერსად ვიშოვნიდი,
თვარა გიტოიეს ვალს არ დავიდებდი!.

— ღმერთი მო... მო... მოწყალეა, ელი
საბედ! გე... გე... გვეისტუმრებთ რავაც ი...
ი... იქნება აბა, სუ . სუ... ხუთთუმიან ხა-
რებს— ხომ არ ჩუ... ჩუ... ჩუტუტებ სამ თუ-
მანში... სამ თუმანში.. იგი ხა... ხა... ხარბია

ჩვენი ზარჩენელი... ჩვენი მარჩენალი...

— მანამდი, ვოჟო!.. არ მიესწრა გიტოიე
იმ დღეს! სხვა თუ ვერაფერი მოვახერხებ შეშას
გავყიდი და გვეისტუმრებ. ჩვენ ეზომიაც ვი-
შოვით ზამთრიხა შეშას.

შა... შა... შალიკომ რამდენი იწვალა იმ შე-
შის ა... ა... ამოტანაზე!.. რავაც დიდი კაცი,
ისე მე... მე... მეხმარებოდა... ცე... ცე...
ცეხლივით *) მუშაობდა... მუშაობდა...

— მას კი დივენაცვლე!.. მაგიერში ისთე-
კი გამოვაწყობ ნატეხა-კრეფევს, ღმერთო შე-
ნით, რო... მგონი, ეგერ მოდის ჭიშკარმა და-
იჭრიალა..-თქვა ელისაბედმა და ჭიშკარისკენ
ცქერა დაიწყო...

შალიკოს აჩლილი მართლაც გამოჩნდა
ღამის წყვილიაღში. მას ხელში ნავთით. სავსე
ქესტის კოლოფი ეჭირა და ჩქარა მოაბიჯებდა.

რეიხა დეივვიანე, ნენა ამდენ ხანს,— სი-
ყვარულით შეეკითხა ელისაბედი შალიკოს,
როდესაც უკანასკნელი დერეფანში შემოვიდა,
და ნავთიანი კოლოფი ჩამოართვა.

— ვერ ვიშონე. მთელი ღუქნები დევიან-
რე და ყველას დაღეოდა. მერე სტანციანზე
წავედი და იქინე ვიყიდე ილარიონასთან.

— უი-შე, შვილო! რამდენი უარია!...
თანაგძნობით მიექათინაურა ელისაბედი შა-
ლაკოს, სახლიდან სანათი გამოტანა და წუ-
წუმის სინათლეზე ნავთი ჩაუშვა შიგ.

ცოტა ხანიც და მთელი ჯალაბობა
ღარბულ სუფრას მოუსხდა და ტკბილი საუ-
ბრით ვახშამს შეექცეოდა.

გ. ებრაელიძე.

(შემდეგი იქნება.)

სატროს.

ოჰ, როგორ მსურდა ჩემო სიცოცხლევ,
არ შეგხებოდა ბოროტის ხელი,
და ყოფილიყავ ვით დიადი მზე,
მარად სიცოცხლის სხივთა მთოველი!

— : —

ოჰ, როგორ მსურდა, რო დამეფარე
შავი ცხვრების კლანჭებისაგან,

*) ვითომ აქსელივითო.

ვითარ ვნატრობდი, რომ არ მეხილა
მაგ გიშრის ნაკეთის თვალებისაგან;—

— : —

ობოლი ცრემლი, ვით დილის ცვარი,
ვარდის ტუჩებზე მიმოფრქვეული,
მარა... ვერ შევძელ, და შენთან ერთად,
მეც ვკვნესი, ვკვნესი, ცრემლ. მორეული!..
ბ. ვარდოშვილი

.ჩემი ვარდი.

(ძღვნათ სანდრო შონას.)

ბაღში ვარდი მომეწონა, გავუხშირე მზრუნველ
ლობა.
ვარდათან ერთად შემეყვარდა მებაღისა მე
ხელობა
და დილიდან საღამომდი. დაეხაროდი იმ
ჩემვარდსა,
სიხარული მალხინებდა, ვივიწყებდი ყოველ-
დარდსა.
დღეებს ვთვლიდი, ვიჩქაროდი, ჩემი ვარდი
გაშლილიყო...
გულს ვარამი უწინდელი, აწ სიამით დაშლი-
ლიყო...
მე ველოდი მოუთმენლად, პირველდილას მაი-
სისას
და ველოდი მოუთმენლად, ვით მანანას
მაღალ ცისას...
იმ დღეს უნდა ჩემი ვარდი ქცეულიყო ნამ-
დვილ ვარდათ!
(დაფასებთ ამ მოლოდინს, ქვეყნათ ვინმე,
თუ გიყვარდათ!)
და მოვიდა და გათენდა მაისისა იგი დილა—
მარა ვაგლახ! მე საცრემლათ, ბედმა სხივი
დამიჩილია...
თურმე, იქვე, ვარდის ძირში, შხამიან გველს
ქონდა ბინა, —
თურმე, არა შორდებოდა იქ ეღვიძა, იქ ეძინა...
და ის ვარდი, ჩემი ვარდი, თურმე, მასაც
ყვარებოდა—
და ის დილა, გაშლის წუთი, მას სად გაე-
პარებოდა...
ის იმ წუთის მოლოდინში, კოკობს ღერზე
მოხვეოდა
და, რო კოკობს ეწყო გაშლა, საკოცნელათ
ჩახვეოდა...

ეკოცნა და ვნებით ღელვილს მისთვის გული
დაეკბინა,—
ჩემი ვარდი, ნატვრის ვარდი, იმ გველს შხა-
მით დაეკბინა...
გასაშლელი ჩემი ვარდი, კოკობშივე ჩამკვნა-
რიყო, —
ის ნანატრი, ნანატრ დილას მომკვდარიყო,
მომკვდარიყო!!
მ. ველისძინელი.

დილა.

ცის რიყრაყზე ცელქმა სიომ,
ღამის ფთებ ქვეშ განაბულმა,
ცისკრის სხივის მომლოდინე
განთიადის მონატრულმა;

*
**

ჩუმის ფრენით ფთა გაშალა,
მიესალმა ნათელ დღესა,
გამარჯვება მიულოცა
ღამის მფანტავ სინათლესა.

*
**

წარმოშალა ფრინველთ გუნდი,
მწვანე ველი შეარხია,
ჩანჩქერთ რაკრაკს შეუერთა
ლალ ბუღბუღლის „ტია ტია-“.

*
**

მთის მწვერვალებს, ვითა სატრფო,
მოეხვია შუქი მზისა,
სევდის ცრემლით თავდახრილი,
გადაკოცნა ვარდი მთისა.

*
**

ზეცა შვებით გაიღიმა
ამოძრავდა ხელი ღვთისა,
ცის სივრცეში იმოსება
ნეტარება მომავლისა...

კ. მიმქრალი.

გაზაფხული.

გაზაფხულდა, ბუნება აყვავდა ათასფერათა
 აყვავებულსა მდებლოზე დაქრის საამოთ ნიავი,
 ტყე ხარობს, ველი იღვიძებს, ფოთოლთ აქვთ
 წყნარი შრიალი,
 სხვა და სხვა ჰანგზე რაკრაკებს ბულბული ენა
 წყლიანი...
 მოიროთო ყველგან მიღვრები, ია-ვარდ ზამბა-
 ხოვანი,
 სამყაროს მხრებსა უშვენებს ბალნარი ყვავი-
 ლოვანი,
 ყველას სიცოცხლე ეტყობა, ყველაა გახა-
 რებული,
 სხვადასხვა ფრინველებისა ისმის გალობა
 ხმატკბილი...
 ხევში მოზხუის ნაკადი, რაკრაკებს, გააქვს ბჭყი-
 ალი,
 მწვანე მდებლოზე ბიბინებს მიღორი ხავერდოვა-
 ნი,
 სალ-კლდეს ასკდება გიჟ-მაკათ რაონი აღადე-
 ბული,
 მტრათა ექცევა ყოველსა, გააქვს საზარლათ
 ღრიალი...
 აღსდგა სოფლიო. გლენებმა შექნეს შრო-
 მისთვის ტრიალი,
 ყველა მიღორ-ველს მოედო, შრომაა სამა-
 რთლიანი,
 შრომისა შემდეგ ოფლითა, შრომითვე
 გასვრილ მტვრიანი,
 უკუ აქციეს ზამთარი, ყინვიან ქარ-სუს-
 ხიანი...
 დასძახეს წყნარათ მუშური, ისმის ხმა მუშის
 ღვთიანი,
 სამყარო გლოვით მოცული ბანს აძლევს კაენი-
 ანი,
 ცხოვრება წინ-წინ მიილტვის, ვით ფთოსანია,
 ფთიანი;
 გზას კაფავს, გზას ეკლასნა, ვით გმირი ფარ-
 ხმალიანი...
 დადგა დრო განთიადისა, კაშკაშებს სხი-
 ვი მზიანი...
 იხარეთ, თავისუფლების დღე აღარ არი
 გვიანი,

ბოლო ეღება მონობას, გვჩება სამშობლო
 მოლიანი...
 შევენება აგვიყვავდება ყველასთვის თავა-
 ზიანი.

ტანჯული ქალი.

კრიტიკა.

პეტრინე გაბაშვილისა.

1.

1910 წელს უპირველეს ბელეტრისტ
 ქართველ ქალს, ეკატერინე გაბაშვილისას შეუ-
 სრულდა ორმოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც
 იგი სამწერლო მოედანზე გამოსულა ღ იღვწის.
 ამისთვის მაღლიერმა ქართველმა საზოგადოე-
 ბამ იმწლის მაისის თვეში საიუბილეო დღესას-
 წაულიც გადაუხადა მას თფილისსა და ქუთაისში.
 ეკატერინე გაბაშვილსა ერთი ნიჭიერი
 და საყვარელი, შევნიერი მწერალია საქართვე-
 ლოში, სადაც ქალს ყოველთვის, ყოველ
 დროს ქონდა ასპარეზი მაღლიანი მოღვაწეობი-
 სთვის... სამწერლო ტალანტით ბუნებისგან
 დაჯილდოებულს, რომლის ნიშანი ყოველთვის
 ცოცხალი, დახვეწილი სალიტერატურო ფო-
 რმების ხმარებაა, ეკატერინე გაბაშვილისას კა-
 ლამი ემარჯვება საკმაო მძლავრი და ნაზი
 გმობების გამოსახატავათ, რო კირსა და
 ლხინში სოფლის უბედურს ქვრივსა და დაფ-
 რდომილს, დასაწყლებულს გამოცსარჩლოს,
 იმათი აუტანელი ცხოვრება ნათლათ დაგვიხა-
 ტოს, და ამით აღძრას ჩვენს გულში მათდამი
 თანაგძნობა და სიბრალული.
 ეკატერინე გაბაშვილისას ქართველ საზო-
 გადოებაში ყავს საკმაოთ ბევრი მკითხველი,
 რომელნიც დიდი სიყვარულით და ღრმა პა-
 ტივისცემით ეპყრობიან მის სახელს. მკაცრი
 კრიტიკა თითქმის არ უხერხდება, ვერ უდგება
 ამ დიდათ მოსიყვარულე გულის პატრონ
 მანდილოსანს, რომელსაც თითქმის ნახევარი
 საუკუნე უმოღვაწნია ეკლით და ნარით მოფე-

ნილს ჩენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

ეკატერინე ვაბაშვილისა გასული საუკუნის 80-იან წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და სოფლის მშრომელ მესაკუთრეთა დიდი მოტრფიალეა. მართალია, იგი, ვითარცა მხატვარი — მწერალი, სუსტია. ადამიანთა სულის ღრმა მცოდნე არ არი და ვერც იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყოველთვის. მარა, სამაგიეროთ, სოფლის ცხოვრების ყოველდღიური ამბები და ამ ცხოვრების სურათი ცოცხლათ აქვს მას აღწერილი და მეტათ მოხთენილი, სუბუქი ენით მოგვითხრობს ბევრ საინტერესო ეპიზოდებს ჩენი ცხოვრებისას.

ეკატერინე ვაბაშვილისა წმინდა, ნამდვილი რომანტიკოსია. მოგვხსენებათ, ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს ნამდვილი რომანტიკოსი უყურებს წინათვე დამზადებული, უპიკარგათ შეთვისებული აზრით. იგი თავის სურვილებს ღ იდეალებს, თავის გძნობა-გონების ძალებს არ უთანხმებს ხოლმე, არ შეუწონუფარდებს ამ ცხოვრების ფაქტებს. წმინდა წყლის რომანტიკოსი, შეყვარებული ქალ-ვაჟივით, შეყვარებულია თავის წინასწარ-წარმოდგენილ, შეთვისებულ აზრთან და არადროს, არაფრის გულისთვის არ დათმობს იგი ამ შეყვარებულ აზრს და არ ურიგდება ცხოვრებას, არ იხრის ქედს ყოველდღიურ ცხოვრების მოვლინების წინაშე. რომანტიკოსი ყოველთვის გძნობების, გულის ხმის ამყოლია და სინამდვილის ინტერესებს ანგარიშს არ უწევს... ამიტომაც არი, რომ ჩენი სასიქადულო მწერალი მანდილოსანი ეკატერინე ვაბაშვილისა ყოველთვის ნიჭიერათ დაწერილ ნაწარმოებში არა ჩვეულებრივ მოვლინებას უფრო ეტანება, ცდილობს აღწეროს სოფლის ამბავი ისეთი სიტყვებით ღ ფერადებით, რომ მკითხველის გულში აღძრას ზიზღი თვის მიერ აღწერილ სისამაგლისა, რომ თავის საყვარელ იდეალს ამით მოუპოვოს გამარჯვება და დაუმკვიდროს სიცოცხლე ამ წუთისოფლათ.

ქართველ მწერალ ქალთა შორის ეკატე-

რინე ვაბაშვილისას, მიუცილებლად, პირველი ადგილი უჭირავს და თავმოსაწონებელი მწერლის — მორალისტის სახელაც აქვს ვაგარდნილი ქართულ ლიტერატურაში.

ეკატერინე ვაბაშვილისა დაიბადა 1851 წელს, 16 ივნისს, ქ. გორში, სადაც მამა იმისი, რევაზ ბაადურისძე თარხან მოურავი მსახურობდა სასამართლოს მდივნათ.

თარხან - მოურავები დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის (მეფიდმეტე საუკუნეში) ჩამომავლები არიან და ეკუთვნით მეტათ მდიდარი მხარე ახალქალაქისა, მტკვრის მარჯვენე, მდ. თეძამის პირზე, გორის მაზრაში, რომელიც ამასთანვე ჩინებული საგარაკო ადგილიც არი ქართლში.

თარხან-მოურავების გვარს საქართველოსთვის დიდი, სახელოვანი მამულიშვილები მიუცია და გასული საუკუნე დაავიროვინა მით, რომ ამ გვარმა ჩვენ მოგვცა ქართველთათვის დიდათ თავმოსაწონებელი პროფესორი თარხანიშვილი, რომელიც არა თუ რუსეთში, საზღვარგარეთაც-კი დიდათ სახელგათქმული იყო.

მამა ჩენი მწერალი ქალისა, თავადი რევაზი, მეტათ ბეჯითი, მშრომელი ღ მუყაითი-ადამიანი შეიქნა. მან კურსი ჩინებულათ დაასრულა თფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში (ახლანდელი პირველი გიმნაზია) ღ იყო ძალიან ნაკითხი და გავითარებული კაცი. ამასთანვე იგი იყო დინჯი, დამჯდარი ხასიათის, მეტათ გულკეთილი და სხვის პიროვნების დიდათ პატივისმცემელიც.

დედა ეკატერინესი სოფიო, თავადის ვახტანგ ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული იყო. კნენა სოფიო მის დროში გათქმული მანდილოსანი იყო ხასიათის სიმკვირცხლით, სითამამით, მხნეობით და გულადობით, როგორც ძალიან კარგი მოჯირითე, მემუსიკე და სიმღერ-თამაშით დროს გამტარებელი.

რევაზ თარხან-მოურავი 27 წლის რომ შეიქნა, ერთ რაღაც ძნელი და ბნელი საქმის გამოძიების დროს, კვავზე შეირყა და იძულეული შეიქნა სახელმწიფო სამსახური მიეტოვე-

ბია. ბევრი მზრუნველობის, მოვლის და წამლობის შემდეგ, ავთომყოფი რევმაზი უკეთ შეიქნა და კერძო ვეჟილობა დაიწყო. იგი ჩინებულადაც იცავდა აღებულ საქმეებს. მარა იმისმა მხიარულმა, სიკოცხლით სავსე კნენამ, ახალგაზდა სოფიომ ვედარ აიტანა ასეთი დიდი უბედურება, საყვარელი ქმრის მძიმე ავთომყოფობა, ქმარი რომ შეერყა, მერე მისი მუდმივი, განუშორებელი მოვლა-პატრონობა და უდროით გარდაიცვალა. დედის გარდაცვალების შემდეგ, დარჩა ობლათ ხუთი წლის ეკატერინე და ორი წლის — ძმა იმისი.

ამ პატარა ობლების პატრონობა იკისრა მათმა ბებიაშ, ბარბარემ, ბაგრატიონ დავითი-შვილის ცოლმა, ტოპით სომხის ქალმა. ეს ბებია საშინელი ანჩხლი, სასტიკი და ჯინიანი, თურმე იყო. იმის წინაშე თრთოლდნ, არამც თუ პატარა ობლები, არამედ თვით მათი მამა რევმაზიც-კი, რომელიც შვილების გულისთვის უნებურათ ემორჩილებოდა დედაბრის თვით ნებობას...

პატარა ობლების მდგომარეობა უფრო გამწარდა მას შემდეგ, როცა ორი წლის ქვრივი რევმაზი ხელმეორეთ ცოლს ირთავს. დედი ნაცვალი მეტის მეტათ გულქვა ადამიანი გა მოდვა, რომლის უსაქიერლობამაც ქმარს წინანდელი სენი ისევ დაუბრუნა. ამ მიზეზის გამო, თვით ჩვენი მწერალი ეკატერინე წერს: „ჩემი სიყმწვილე თითქმის დაუშრეტელი მწუხარების წყარო იყო...“

როცა რევმაზი თავის სენის ბჭყალებისგან გათავისუფლებული იყო ხოლმე, დიდი ზნეობრივი გავლენა ქონდა პატარა ეკატერინეზე. იგი მშობლიურ გულის სიყვარულს არ აკლებდა თავის ქალიშვილს, ებასებოდა, უკითხავდა წიგნებს, უხსნიდა ყოველიფერს, არიგებდა და აცნობდა ცხოვრების მრავალგვარ მოვლენებს.

რევმაზი ნამდვილი გულკეთილი მეგობარიც იყო პატარა ეკატერინესი და თვისი ცოდნა-გამოცდილებით ყოველთვის სულიერ საზღოს აწვდიდა თვის საყვარელ ქალიშვილს. ამიტომ საყვარელი მამის მეგობრობა დედით

ობოლი ეკატერინესთვის დიდი ნეტარება იყო და უკეთეს წამებათ უნდა მიუტოლებლათ ჩაითვალოს მის სიყმაწვილეში.

თვისი პატარაობა ეკატერინემ ქ. გორში გაატარა. რვა წელიწადი რომ შეუსრულდა, ეკატერინე მამამ თფილისში ჩამოიყვანა და გერმანელების შკოლაში მიაბარა. შემდეგ-კი, გადაიყვანა მამადავითში, სომეხ ქალების ამბარდანოვების პანსიონში. თორმეტი წლისა რომ ვახთა, ეკატერინემ დააპირა ინსტიტუტში შესვლა, მარა სუსტი მომზადებული გამოდგა და არ მოხერხდა იმის იქ მიღება. მაშინ მამამ ეკატერინე მიაბარა თფილისში კარგათ ცნობილ ქ-ნ ფავრის პანსიონში.

ეს პანსიონი საუკეთესო პანსიონი იყო იმ დროს მთელ თფილისში, რათგან ქ-ნ ფავრმა ძალიან დახელოვნებულ მასწავლებლებს მოუყარა თავი ამ სასწავლებელში. იქ ქართულ ენასაც დიდი ყურათღება ქონდა მიქცეული. ამ საგანს ასწავლიდა პირველ ხანებში ნიკო დედაბრიშვილი, შემდეგ ცნობილი ნიკო ინაშვილი და, მერე, ალექსანდრე ცაგარელი, აწ უკვე ჩვენი ცნობილი პროფესორი. აი, ამ მასწავლებლებმა გულში ღრმათ ჩაუნერგეს მომავალ ნიჭიერ მწერალს ქართული ლიტერატურის სიყვარული და დიდი ინტერესი.

ფავრის პანსიონი ეკატერინემ 1868 წელს დამთავრა და, შემდეგ, ხელი მიყო თვით-გავითარების დიდ საქმეს, რაშიაც დიდათ ხელს უწყობდა ერთი განათლებული ნათესავი ახალგაზდა კაცი და ბევრი სხვა საუკეთესო ნაცნობნი. იმათი ხელმძღვანელობითა და რჩევით ეკატერინემ გადაიკითხა ბევრი საუკეთესო მწერალთა თხზულებანი, რომელთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს საქვეყნოთ სახელგათქმულს ინგლისელ ფილოსოფოსს, გერბეტ სპენსერს.

ეკატერინეს სწავლის წყურვილი ისე დიდი ქონდა, რომ უნივერსიტეტისთვის მზადება-კი დაიწყო. მარა იგი გაიტაცა საზოგადო საქმეების გულმხურვალეთ სამსახურმა. სამშობლო სოფელში მან გამართა ქალებისთვის შკოლა, საცა მუქთად ასწავლიდა მოზარდ თაობას

ქართულსა და რუსულს. მეჭთადევე ასწავლიდა იგი შკოლის გარეთ ყველა სწავლის მსურველ ქალებს და დაუზარებლათ ფენდა სწავლის შექს წყვილიადი მოცულ სოფლის გლეხობას.

1870 წელს ახალგაზდა ეკატერინე პირველათ გამოდის ქართულ სამწერლო მოედანზე. ამ წელს მან „დროებაში“ დასტამბა პირველი თვისი ნაწარმოები—„გლენ-კაცის აზრი სასოფლო შკოლაზე“.

აი, ამ წლიდან პირველათ იგემა მან გულის გამხარებელი დიდი სიტკბოება ქართულად წერისა და მას აქით კალამი ხელიდან არ გაუვლია და დღემდე დაუზარებლათ ემსახურება იგი მშობლიურ ლიტერატურას.

1872 წელს ეკატერინე მითხოვდა ალექსანდრე ზაქარაისძე გაბაშვილს და დღეს იგი სასება შვილებით და შვილის შვილებით.

ხომლედი.

(შემდეგი იქნება).

სულით ავთმყოფობა.*

(შემდეგი.)

აქამდე ლაპარაკი იყო გძნობა და წარმოდგენის დეფექტებზე. ახლა-კი უნდა შევეხებოთ აზროვნების ანორმალურ მიმდინარობას, რომელიც გამოიხატება მსჯელობის დაზანტება-გაძნელებით და, უკიდურეს შემთხვევაში-კი, მისი სრულიათ შეუძრებლობით, ან მეტის მეტათ აჩქარებით. სქემატიურათ მსჯელობის პროცესი შემდეგია: გძნობა, წარმოდგენა, წარმოდგენათა ასოციაცია და მათი გამოხატვა. თუ ადამიანი დაუღალავი, მთელი ორგანოების მქონებული, ნორმალურ მდგომარეობაშია—მისი მსჯელობაც დაწყობილათ და ერთ დონეზე მიმდინარობს. მარა, თუ ზემო ხსენებულ კარგ პირობებში—ჩვეულებრივ არა დიდ თავსამტვრესაკითხებში—კაცს უჭირს და უგვიანდება პასუხის გაცემა და, ბოლოს, მთელი საათობით

ედებს საპასუხოს, მარა რივიანი პასუხი მაინც ვერ მოუხერხებია—ეს აშკარათ სულით-ავადმყოფობის ნიშანია. უფრო მძიმე მდგომარეობაში ავთმყოფი სრულიათ კარგავს მსჯელობის უნარს, მთელი საათობით იმეორებს სტერეოტიპულათ ერთ და იმავე სიტყვას, ან მოქმედებას და, ბოლოს, უტყვავთ მთელი დღეობით მიწერებია ერთ და იმავე წერტილს. თუ ასეთ ავთმყოფს გძნობათა სფეროები დაუშავებელი აქვს, მისი გამოშტერება პირდაპირ გამოაყრუების მიზეზია, ე. ი., მჯელობის უნარი დაკარგული აქვს, ტვინის დაზიანების გამო. წინააღმდეგ შემთხვევებში, როდესაც გძნობები იმდენათ აშლილი არიან, რომ ავთმყოფის ბუნება ილუზიებითა და გალუციანციებით არი შეპყრობილი—მაშინ გამოაყრუება შედეგითი იქნება.

ასეთი გამოაყრუების დროს—თუ რამე წამოვაცდენიეთ ავთმყოფი-მელანქოლიკი სწორ პასუხს იძლევა, ჭკვა თხელი—კი სრულიად უმგვაწოს.

ზემო აწერილის წინააღმდეგს წარმოადგენს ისეთი სულით ავთმყოფი, რომელიც უთაურად ბევრს ყბედობს, საქციელშიაც შეცდომები მოდის და, ბოლოს, აზრების ცვლა იმდენათ აჩქარებული აქვს, რომ მთელი წინადადებიდან მხოლოთ ერთი სიტყვის, ან ერთი ხმის გამოთქმას ასწრებს და, რასაკვირველია, ასეთ მუსაიფს გარეშე მაყურებელიც ვერაფერს გაუგებს.

ნორმალურათ ჩვენი აზრების მიმდინარობას ერთმანეთში კავშირი აქვს, იმის დაგვართათ, თუ რა კავშირია თვით ჩვენი აზრების ობიექტებს-საგნებს სივრცეში ურთიერთშორის სიახლოვისამებ—ეს იქნება ასოციაცია აზრთა ადგილისამებ, ან თუ არსებობს აზრების კავშირი დროისამებ—ეს იქნება ასოციაცია დროის მიხედვით და ამ წესითვე არსებობს აზრთა ასოციაცია კონტრასტისა და მსგავსებისა. მაგალითად, ასოციაცია ადგილისამებ, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევების წარმოდგენა უნებლიეთ იწვევს იქვე მდებარე ძველი ციხის ნანგრევების წარმოდგენას, აგრეთვე გვირახის წყაროს, სასულიერო სასწავლებლის შენობის და სხ. წარმოდგენას. ასოციაცია დროის მი-

* იხ. „სხაგრება“, № 5.

ხედვით: 1914 წ. ავსტრი სერბიის კონფლიქტის წარმოდგენა უნებლიეთ წარმოშობს რუსეთ-ავსტრიის, გერმანეთ-რუსეთის, გერმანეთ-საფრანგეთის და ინგლის გერმანეთის კონფლიქტების წარმოდგენას. ასოციაცია მზგ. ვსებიით, მაგ. X — გაწითლებულია ყაყაჩოსავით, ან პილბილივით, თეთრია თოვლივით, შავია ყურანავით და სხ. ასოციაცია კონტრასტისამებ: გოლიათის წარმოდგენა უნებურათ იწვევს ქონდრის კაცის-ლილიბუტის წარმოდგენას.

ამ ზემო ხსენებული ასოციაციებით ნორმალური კაცი თითქმის თანაბრათ სარგებლობს, ხოლო ანორმალურ შემთხვევაში, სულით ავთამყოფს, აჩემებული აქვს ერთ-ერთი ფორმა. მას ის ფორმა უფრო ეხერხება.

მაგ. ჩამამავლობით და თანშობილ ქვეათხელებს ძლიერ ეხერხებათ ადვილისამებ ასოციაციის ხმარება და ძლიერ უჭირთ ასოციაცია მზგავსებისა და კონტრასტისა.

პროგრესიულ სიღამბლით ავთამყოფს ეადვილება დროისამებ ასოციაცია, მანიაკს შედარებით, და კატატონიკს კონტრასტის ასოციაციები.

ბოდვა.

სულით-ავთამყოფს აზრთა და წარმოდგენათა მიმდინარობაში შეეჩრება ხოლმე უნებურათ და უსაფუძვლოთ განმეორებითი წარმოდგენა საგნების და აზრების და ამისთვის მის სიტყვებს სალი კავშირი არ აქვს და მსჯელობას ლოლიკა ეკარგება.

ავთამყოფს ნება და ძალა არ შეწევს, რომ უნებური აზრები თავიდან მოიშოროს. მაგალითად, დრმათ მოაწმუნე გულმოდგინეთ მლოცველ სულით-ავთამყოფს, მსურვალე ლოცვის დროს, ებადება სრულიად უნებურათ უღვთო და წამბილწველი აზრები. თუ მას კიდევ შერჩენილი აქვს თვისი მდგომარეობის შეგნება, მის ზნეობრივ ტანჯვას სახლვარი არ ექნებოდა. მარა ხშირათ ასეთ ავთამყოფის ყურათლებასმოულოდნელათმიიზიდავს რამე გარეშე მოვლინება და ცუდი აზრებიც, თითქო სასწაულებრივ გაშორდება მას. ასეთ უნებურ აზრებ შორის ყველაზე უფრო ხშირია უნებური შიში ადვილისა (ავორაფო-

ბია), მარტოობისა (მონაფობია) და სხ...

უნებურ აზრებს ყველა სულით ავთამყოფი ერთნაირათ არა ხედება: ქვეათხელი ამას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, რათგან მას არ ესმის მიზეზ-შედევობითი კავშირი მოვლენათა და ლოლიკის არაფერი გაეგება. ხოლო მელანქოლიკი ძლიერ ცდილობს და კიდევაც მალე პოებს კავშირს და მიზეზებს მოვლენათა შორის, რომლებიც იმდენათ უადვილო და შემცდარი არიან, რომ მის განათლება-გახედულობას სრულიად არ შეეფერება. მაგალითად, ჩვენი დროის აეროპლანების მოძრაობა ვინმე ველურმა რომ მიაწეროს არა წმიდა სულების ძალას — ეს შეცდომა ლოგიკური იქნება და ასეთი ველური ქვეათა-ყოფელთა რიცხვში დარჩება. მარა ასეთივე თვლით რომ შეხედოს აეროპლანს საშვალო განათლების მქონებელმა ადამიანმა, ის, უსათუოთ, სულით-ავთამყოფთა რიცხვს უნდა მიეწეროს.

ბოდვა ორ ნაირია: დებრესიული, მქენჯანავი და ექსპანსიური — მედიდური. პირველს ეკუთვნის შემდეგი ფორმები: იპოქონდრიული ბოდვა, როდესაც ავთამყოფი გძნობს, რომ მიიძე სენით არი შეპყრობილი, ამბობს მაგ. — რომ მას გული გაუხქდა, ტვინი გაუხმა და სხ... თავის მთუგებელი ბოდვა, როდესაც ავთამყოფი ირწმუნება, რომ თვით დიდი ბოროტი, ცოდვილი და სასჯელის ღირსი კაცია. მდევნილობითი ბოდვის მქონენი ყველაგან თვის მტერს ნახულობენ, ყველას მოწამვლას და გაუბატიურებას აბრალებენ.

ექსპანსიურათ მბოდავნი-კი აღტაცებით მოგვიტხრობენ თვისი უღარესი შეგნიერების, უღრმესი გონიერების და უმაღლეს თვის სოციალურ მდგომარეობის შესახებ. ასეთ მანიაკების წარმოდგენაში თვისი განდიდების აზრებს ერთვის მდევნილობითი აზრებიც, ვითომც მათი მდგომარეობა სხვებისთვის სახარბიელო იყოს. განდიდებისა და მდევნილობითი აზრები ერთმანეთს ენაცვლებიან მძაფრ-სიგიყის დროს (პარანოია).

ბოდვას სულითავადყოფობის სხვაღ სხვა ფორმების დროს, თვისი ნიშნობლი-

ვი თვისება აქვს. მაგალითად, მეღანქოლიკი ადვილათ იტყვის, რომ მას შიგნეულები გაუსქდა და გაუხმა. მარა არასოდეს არ იტყვის ქვა-თხელივითა და პროგრესიულ დამლიანივით, რომ ქალაქის შიგნეული მაქვსო.

მანიაკი ბევრ რამეს იტყვის თავის ძალ-ღონეზე, მარა ქვათხელივით და პროგრესიულ დამლიანივით არ იტყვის, რომ რკინის ხელ-ფეხი მასხიაო.

პარანოიკი დაგოწყებთ მტკიცებას, რომ ის ზეცის შვილია — მფევა. მარა ამავე დროს ქვათხელივით და პროგრესიულ დამლიანივით თაყვანს არავის ცემს და მოწყალება მოიღეთო, არავის შეეხვეწება. ბოდვა, შეიძლება, სრულიათ უთავბოლო იყოს: სიტყვებსა და წინადადებათა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს — ეს უსისტემო ბოდვაა, ხოლო, თუ ბოდვას ლოლიკური კავშირის ელფერი ადევს — ეს სისტემატიური ბოდვა იქნება.

მეხსიერების შებღალვა.

ნორმალურათ მეხსიერებას შეადგენს უკვე წარსულში ჩვეულებრივ პირობებში განცდილი გქნობათა, წარმოდგენათა და აზრების ხელახლათ აღდგენა, თუნდაც რამდენიმე ცვლილებითა და დაგვიანებით, ასე რომ ჩვენი გონების სხვა მხარეები დაუბრკოლებელი და დაუფარავი რჩებიან. მარა, თუ მეხსიერება ჩვეულებრივზე მეტად ძლიერებით მოქმედობს და თანაც ნებისყოფას, გქნობიერობას და სხ. სულიერ თვისებებს სთურგნის და სცარავს — როგორც ეს მოსდით ზოგიერთ იდიოტებს და ქვა-თხელიებს — ეს იქნება ანორმალურათ გაღიზიანებული მეხსიერება — გაბერმნეზია.

ავათმყოფს ჩვეულებრივზე მეტათ, თუ ავიწყდება — ასეთ გულ მავიწყობას ქვია ამნეზია. ამნეზია ცალმხრივია, როდესაც ის გამოწვეულია ტვინში ადვილობრივი ჭრილობისა და ხორცმეტის გამო და ავადმყოფი ვერავის ცნობს და ნაწერსაც ველარ კითხულობს. პროგრესიულ სიღამბლის დროს, ამნეზია ეხება განსაკუთრებით ყმაწვილობაში შეძენილ ცოდნას, ხოლო მძაფრ სიგიჟესა და მოხუცობით გამოტყინების დროს, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში

შეძენილ ცოდნას. პარამნეზია-კი უღრის უნებურ სიცრუეს: ამ დროს ავადმყოფი თავის თავს და სხ. პირებსაც აწერს ისეთ რამეებს, რომელიც, ან თვით გამოიგონა, ან სრულიათ სხვა ვინმეებისგან არი წარმომდგარი.

პარამნეზია ჩვევია მეღანქოლიას, ისტერიას, პოლინევრიტიულ ფსიქოზს და სხ...

აგრეთვე საყურათღებოა გონების ისეთი შებღალვა, როდესაც ავათმყოფს არავითარი წარმოდგენა არ აქვს იმ ადგილის, სადაც იმყოფება — ნაცნობ ადგილს ველარ ცნობს, ან აღარაფერი ახსოვს თავის საკუთარი პიროვნების-ვერ გეტყვის, ვინ არი თვით, ან დროის შესახებ სრულიად გამოურკვეველათაა. მაგალითად, ავზიანი ავათმყოფობის პირველ ხანში, ხშირად მოქმედობს ავტომატიურათ. მის მოქმედების ცალკე ნაწილებს აზის მიზანწყობილობის ელფერი. მარა თავის და თავად გამოწყებული საქმე არ არი გონივრული და არც მის გამოწყობა ავზიანს შეუძლია აგვიხსნას, თუ რა მიზნით გამოუწყია ის. მაგალითად, როდესაც ასეთი უგუნური მიეშურება ბაქნისკენ — ამას გონიერების ბეჭედი აზის, ვინაიდან რკინის გზით მიემგზავრება. მაგ. ქ. თფილისისკენ ჩქარობს, ბილეთს იღებს, შედის ბილეთის შესაფერ კლასში და სხ. მარა ასეთ ავათმყოფს მალე გამოაჩლება, რომ არ იცის, რა მიზნით მიეშურება თფილისს და, შეიძლება, ისეც დაავიწყდეს, რომ თფილისს მიემგზავრება.

ლოთები ბოდვის დროს კარგავენ შეგნებას ადგილისა და დროის შესახებ, საზავიეროა, კარგათ ესმით თავიანთი ვინაობა. კითხეთ და მოგახსენებთ თავიანთ გვარს, სახელს, პროფესიას, წოდებას, ასაკს ღ სხ...

ასეთ დეზორიანტაციას ხშირათ მოსდევს ილუზიები, გალუციანციები, ბოდვა, რომლე ბიც იმპულსიურ ხასიათს აძლევენ ავათმყოფის მოქმედებას და ის შიშსა გვრის მნახველო, თვისი მხეცური გამომეტყველობით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არის ისეთი ფსიხოზი-კატატონია, როდესაც ავათმყოფს თითქოს არაფერი არ ესმოდეს, არც ადგილის, არც დროის არც თავის საკუთარი პირო-

ვნების შესახებ. მარა რამდენიმე ხნის შემდეგ, ვანმეორებით გამოკითხვის დროს, გამომჟღავნდება ხოლმე, რომ ავთამყოფს ყველაფერი კარგათ ესმოდა და კიდევ ახსოვს ყველაფერი. მხოლოდ მაშინ მისი სულიერი მდგომარეობა ნებას არ აძლევდა მას პასუხი გაეცა-ის მაშინ-მუტიზმით-მღუმარების ხუსტურით იყო შეპყრობილი.

გონების ასეთი შემორკვის წინააღმდეგ წარმოადგენს მისი ზედმეტი სიმკვირცხლე, რომელსაც თან სდევს ნებითი ყურათღების სიღამლე და უნებური ყურათღების მეტის-მეტათ გამოღება. ამდროს ავთამყოფის ერთი რომელიმე გძნობა, იმდენათ ვადიზიანებულა, რო დანარჩენი გძნობები იჩიილებიან, მისი ყურათღება ერთი საგნიდან მეორეზე ისეთი სისწრაფით გადადის,რო ვერც ერთი მათგანის გაცნობას ვერ ასწრებს. ასეთ აზრთაქროლვას თან სდევს, არამც თუ მათი დაუკავშირებლობა, იმავე დროს მათი ისეთი ნაწყვეტობაც რომ ავთამყოფის ლაპარაკიდან ძნელათ თუ ვინმე რამე აზრს გამოიტანს.

კმურნალი ს. დადუნაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

საუშრათღვაო აგზავნი.

ქართულ მუზეუმის გამგეს, ბ.ნ იუსტინე აბულაძეს მეტათ საგულისხმიერო ხელთნაწერი შეუძენია სპარსულიდან პროზათ ვადმოღებული ძველი „ვეფხის ტყაოსნისა“, რომელიც მასალათ გამოდგომია შოთა რუსთველს, თვის უკვდავ ნაწარმოების შესაკმნელათ. ხელთნაწერი გორის მაზრიდან არი ჩამოტანილი და საფლავის თხრის დროს უპოვიათ თურმე.

ფეშლილი მუსიკა.

ეს დაუსრულებელი ომი სტრიქიურ შეუგნებელ პროცესათ გადაიქცა, და ამ პროცესს არ უავს დღეს შეგნებული გამომხატველი.

როდემდის? არავინ არ იცის. — ბოლომდისო, — ამბობენ. მარა, რაც დრო გადის, იმდენათ ეს „ბოლო“ ბურუსში ეხვევა, და მთელ ამ ფორმულასაც ეკარგება მკაფიო ხასიათი.

მიდის ერთხელვე ამუშავებული ისტორიული ბორბალი და, თითქო მათელმა ქვეყანამ პირობა შეკრა, — ნუ შევეცდებით გაჩერებას, იაროს, სანამ თავისით არ გაჩერდებაო. ეს ბორბალი უფრო ძლიერი გამოდგა იმათზე, ვინც ის აამოძრავა. არავინ არ ელოდა ამდენ ხანს გაგძლეებას. არავის არ აქვს ახლაც წარმოდგენილი, სად დაისმება წერტილი.

ვისაც მეტი აქვს, იმას მეტიც მოეთხოვებაო, ნათქვამია. ამ მხრივ საერთაშორისო დემოკრატიისგან ბევრს მოელოდენ. არ აუსრულდათ ეს მოლოდინი. და ახლა „მოვალეს“ გაკოტრებულიათ აცხადებენ. გაკოტრებას მისი მოწინააღმდეგეები „მეცნიერულათ“ ასაბუთებენ.

ამ მოწინააღმდეგეებში ურევიათ მისი ძველი მეგობრებიც. ძველი დროშა ამათ არ მიანიათ გაკოტრებულიათ. მარა დღეს ესენიც უარყოფენ საერთოშორისობას, არ უნდათ ამ შემაერთებელი დაწესებულების დღესვე აღდგენა. ეს შემდეგისთვის იყოსო, — ამბობენ.

გ. ვ. პლენხანოვი, რომელიც „ნებსით, თუ უნებლიეთ“ „რუსკია ვედმოსტების“ თანამშრომლათ გადაიქცა, ამ აზრს ასაბუთებს დიალექტიურათ. უკანასკნელ წერილში ის მალღობიდან დაყურებს „პატარა“ ინტერნაციონალის ტებს და ამტკიცებს, რომ ესენი ინტერნაციონალის მტრები არიანო.

დიალექტიური მეთოდი ერთადერთი საშვალდება საზოგადობრივი საკითხების გარჩევაში. მარა, თუ დიალექტიკა დიპლომატიათ გადავაქციეთ, მაშინ ვერც ერთ კითხვას ვეღარ გავარჩევთ. როცა დიპლომატები მეორე მხარეს ესმიან, გვარწმუნებენ ხოლმე, რო პირველათ იქიდან დაგვესხენო. ასე მოუღის პლენხანოვსაც. ის დევნის ინტერნაციონალის მომხრეებს და, ამავე დროს, გვარწმუნებს, — ესენი ძირს უთრიან ინტერნაციონალსო.

რაშია საქმე?

გ. ვ. პლენხანოვი ცდილობს დაგვანახვოს, რომ ახლანდელ ომში შეჯახებული არიან ერთმანეთთან ბურჟუაზია და დემოკრატია. პირველს წარმოადგენს, მისი აზრით, გერმანია თვისი მოკავშირეებით, მეორეს — დანარჩენი ევროპა. ის იგონებს ძველი საბერძნეთის დროს — პელოპონესის ომს — და ამბობს, როგორც მაშინ ერთი კლასი ებძოდა მეორეს — დემოკრატია არისტოკრატის, — ისე, ახლაც, გერმანიის ბურჟუაზიას ებძვის ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის დემოკრატიაო.

ეს შედარება ხელოვნურია და არ შეეფერება სინამდვილეს. პელოპონესის ომი დატრიალდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, შიგნით. საბერძნეთის ორი სახელმწიფო — ათინა და სპარტა — ეცილებოდნენ ერთმანეთს, ვის უნდა ეკუთნოდეს გავლენა, გეგმონაო. დავა იყო თავიდანვე, როგორც მოიკიდეს ფეხი ერთმა სახელმწიფომ და მეორემაც. ამათ ახლო-მახლო იმავე საბერძნეთში იყვნენ პატარ-პატარა ქალაქები და სახელმწიფოები. ათინაც ცდილობდა იმათ დამორჩილება-შემოერთებას და სპარტაც, ორივე ხელმძღვანელობდნენ ამ შემთხვევაში დაპყრობითი — იმპერიალისტური მოსაზრებებით. ამ ნიადაგზე არა ერთხელ ხდებოდა შეჯახება. ამ „შინაურ“ დავას ბოლო მოუღო დროებით გარეშე მტერთან ბძოლამ. მარა, როგორც გათავდა სპარსეთ-საბერძნეთის ომი, მაშინვე უარესათ იხეთქა უთანხმოებამ თვით საბერძნეთში. ან ათინა უნდა ყოფილიყო გამეფებული მთელ ამ ტერიტორიაზე, ან სპარტა. ძმური კავშირი-კი ამათში შეუძლებელი გახდა.

ომის წინა დღეებში სპარტამ ათინას გაუგზავნი ულტიმატიური ხასიათის მოთხოვნები. ის მოითხოვდა, სხვათა შორის, რომ ათინელებს გაეუქმებიათ კანონი, რომელიც სპარტას წყლებში და ბაზრებზე მისვლა-მოსვლას უკმალოვდა პატარა სახელმწიფოებს. ამნაირივე მოთხოვნა წაუყენა ათინამაც თავის მხრივ, სპარტას. იმასაც უნდა მიეცა ნება მოკავშირე ხალხებისთვის თავისუფლება ათინის ბაზრებთან ვაჭრობის საქმეში.

არისტოკრატია და დემოკრატია ამ დავაში ჯერ ჯერობით არაფერ შეაში იყო. აქ ერთი სახელმწიფოს გამეფებული კლასი ებძოდა მეორესას. ბძოლიად, ბოლოს, მიიღო პოლიტიკური ხასიათი. მერე, გამოვიდნენ ასპარეზე პოლიტიკური პარტიები. მართლია, ერთ მეომარ სახელმწიფოს უფრო დემოკრატული წესყობილება ქონდა, მეორეს — უფრო არისტოკრატული. მარა პარტიულმა ბძოლამ თავი იჩინა, აქაც და იქაც — ათინაშიაც და სპარტაშიაც.

როცა გამარჯვებულმა სპარტამ მოინდომა ათინის თლად გასრესა, მაშინ აქაურმა ხალხმა — დემოკრატამ გამოიღო თავი სამშობლოს დასაცველათ. ის ითმენდა აუტანელ გაჭირვებას და არ იღებდა გამარჯვებულის პირობებს. მაშინ მარტო მთავრობის წარმომადგენლები ურჩევდნენ ათინელებს სრულ დამორჩილებას. რჩევით ვერაფერს გახდენ და მოინდომეს ხალხის მოტყუება. ხალხმა ვერ იცნო თვისი შინაური მტერი, ენდო მის ცბიერ ენას და მაინც იმას სპარტაში წასვლა ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლათ. ეს მოციქული თვისი მხლებლებით განგებ აგვიანებდა წასვლას. ფიქრობდა, რომ ალყა შემორტყმლი ხალხი ვეღარ აიტანს საშინელ გაჭირვებას და მიიღებს დამამცირებელ, მძიმე პირობებსო. ასეც მოხდა, სპარტაში მოლაპარაკების დროს, ის დაეთანხმა იმას, რასაც მოითხოვდა ათინისგან სპარტის არისტოკრატია, და, რასაც უარყოფთა იქაური დემოკრატია. ამნაირი ზავის პირობებით დაბრუნდა სამშობლოში ათინელი მოციქული. ხალხმა მაინც სმა ამოიღო ასეთი დამამცირებელი შერიგების წინააღმდეგ... მარა შიმშილს ვეღარ გაუძლო და დაეცა.

ასე, ორი მებრძოლი სახელმწიფოს გამეფებულმა წრეებმა მეგობრულათ გაუშვირეს ერთმანეთს ხელები, აქაც და იქაც ხალხის წინააღმდეგ. გ. ვ. პლენხანოვი ცდილობს ისტორიული შედარებით თანამედროვე სურათის გამოკვეთვას. ეს შედარება, ამ შემთხვევაში იმას უნდა მოეხდინა სავსებით და არა გაკვრით და მარტო ერთი წინააღმდეგობით. აქ არი მხოლოდ ერთი

გნული მსგავსება. პელოპონესის ომი ხდებოდა საბერძნეთის ტერიტორიაზე. ახლანდელი ომიც, უმთავრესათ, ხდება ერთ-ვერობის ტერიტორიაზე. მარა ისტორიულათ, კულტურულათ, ეროვნულათაც თანამედროვე ევროპის სახელმწიფოები უფრო შორი-შორს დგანან ერთი-მეორისგან, ვიდრე ათინა და სპარტა ძველ საბერძნეთში. არი კიდევ ასეთივე გარეგნული მსგავსება. ათინაში იყო დემოკრატიული წესობილება, სპარტაში — არისტოკრატიული. ახლაც, ვითომ, ასეა. გერმანიაში დაძველებული პოლიტიკური წესწყობილებაა გამეფებული. ინგლისში და საფრანგეთში-კი დემოკრატიული. აქიდან ის დასკვნა გამოყავთ, რო გერმანიის დამარცხება საჭიროა დემოკრატიის გამარჯვებისთვის.

ეს არის ერთგვარი ფეტიშიზმი, რომელიც არ შეუფერის იმას, ვინც დიალექტიკური მეთოდით ხელმძღვანელობს თავის აზროვნებაში. ფეტიშისტები არიან ჩვენი მაზლობელი თანამოაზრეები, ვინც, აგერ, ამ თავის სახლში ერთ პოლიტიკურ წესწყობილებას უყურებენ და ამის მიხედვით, არჩევენ სოფლიო საკითხებს. ფეტიშისტები არიან აგრეთვე ისინი, ვინც სხვა ქვეყნების პოლიტიკურ აგებულებას იღებენ მხედველობაში იმავე საკითხების გარჩევის დროს. ავიწყდებათ, რო დღეს მებძოლი ბურჟუაზია ერთნაირია, როგორც რესპუბლიკანურ საფრანგეთში და “თავისუფალ“ ინგლისში, ისე ნახევრათ ფეოდალურ გერმანიაში და სრულიათ ჩამორჩენილ რუსეთში. ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია სიამოვნებით ააშენებდა თავის ქვეყნებში ძველ პოლიტიკურ წესწყობილებას, მარა იქ იმას წინ უდგას ძლიერი დემოკრატია. ამიტომ, რასაც იქაური ბურჟუაზია სახლში ვერ ახერხებს, იმის შეგებას ცდილობს გარედან. მისი კავშირი უკან ჩამორჩენილ მეზობელთან, ეს არი დიდი ისტორიული დემონსტრაცია. ამ კავშირით მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზია სარგებლობს, არა მარტო დროებით, ის ამით აკანონებს და მხარს უჭერს დაქვეითებულ წესწყობილებას. ეს ერთად ერთი ნაფთსაყუდელია ახლა მისთვის თავისივე ხალხთან ბძოლაში. იმპერიალისტუ-

რი წრეები, რომლებიც საწარმოვეო ძალების გავითარების მაგიერათ, დაპყრობა-ყაჩაღობაზე ფიქრობენ, შეუბრძვდებიან იმ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელიც ამ ყვლეფაში იმათ ხელს არ შეუშლის. ამ ომის ისტორიამ, მგონია, ბრძანაც კი დაანახვა, რომ ეს წრეები ერთნაირათ იწერენ პირჯვარს ყველა მეომარ ქვეყნებში.

გერმანიის ბურჟუაზია წამოვიდა მთელი ევროპის დასაპყრობათო, ამის თქმა ნიშნავს საკითხის საშინლათ გამარტივებას. ასე ხსნიან თანამედროვე შეჯახებას სოფლის გლეხები. ეს იმათთვის უფრო ადვილი გასაგებია.

გ. ვ. პლენხანოვი არ ჯერდება ამნაირ გამარტოვებას. ის შორს მიდის და ამბობს თამამათ, — ავსტრია-გერმანიის მუშები შეუერთდენ თავიანთი ქვეყნის ავაზაკებს და გამოილაშქრეს სხვა მუშების დასაპყრობათ და საყვლეფათო...

პლენხანოვის წერილი წყალს უმატებს შოვინისტური წიქვილის ასაბრუნებლათ. მერე იტყვის, მე ეს არ მინდოდა. მარა ეს სულ ერთია. ბურჟუაზიული პრესა ამ წერილებით სარგებლობს თავისებურათ და არა ისე, როგორც უნდა პლენხანოვს.

ვთქვათ, რო მართლა გულწრფელათ შეუერთდენ ავსტრია-გერმანიის მუშები იმპერიალისტებს. მათი შეუგნებლობით უნდა ავგეხსნა ეს, თუ ობიექტიური პირობებით? აქამდის არავის არ უფიქრია, რომ იქაურ მუშებს და იმპერიალისტებს ერთნაირი ინტერესები აქვთ. უღალატეს ავსტრია-გერმანიის მუშებმა მთელი ქვეყნის მუშებსო, — წერს პლენხანოვი. ეს რო მართლა ასე მომხდარიყო, პლენხანოვს მთელი თავისი გავლენა უნდა მოეხმარა იმათი თვალების ასახელათ. ის ახლავე უნდა შეერთებოდა ინტერნაციონალისტებს და დაენახვებია „მოღალატეებისთვის“, რომ ეს ღალატი სულაც არ შეეფერება მათ ინტერესებს. მარა, თუ ობიექტიურათ, რომელიმე ქვეყანაში მუშებს და იმპერიალისტებს ერთნაირი ინტერესები აქვთ, მაშინ ინტერნაციონალი მკედრათ უნდა გამოვაცხადოთ, როგორც მოიქცენ გახარებული ბურჟუაზიის იდელოგები.

პლენხანოვი დღეს არ ებძვის ამ იდეოლოგიებს. ის უფრო თავის გუშინდელ თანამოაზრეებს ებძვის. რაც ომი დაიწყო, იმას არ დაუწერია არც ერთი წერილი, არც ერთი ბურჟუაზული წრის წინააღმდეგ.

კარგათ-კი ხედავს შორიდანც, რას ეძებს ამ ომში, მაგალითად, რუსეთის ბურჟუაზია. მთელი იმისი ეკანოპიური პოლიტიკა, შრომის დამცველი კანონების გაბათილება, ნუ თუ ეს საკმაო მასალას არ აძლევდა პლენხანოვის მახვილ კალამს.

მარა ეს „შინაური დავა“ ჩვენმა ხელმძღვანელმა დღეს ხელუხლებლათ დატოვა. ახლა მარტო ომზე უნდა ვიფიქროთ, — ამბობს და ვინც დღესვე მთელი ქვეყნის მუშათა ძმობაზე ფიქრობს, ვინც ყოველ წამს საერთაშორისო იდეალებით გვიანსპინძლდება, ისინი, მარქსისტები-კი არა, ანარქო-სინდიკალიტები არიანო.

გავიდა რამდენიმე დღე ამის შემდეგ, და ცნობილი ანარქისტ-სინტიკალისტების ჯგუფმა გამოაქვეყნა წერილი. აქ ისინი ამბობენ იმას, რასაც ამბობდა პლენხანოვი. ესენიც ამტკიცებენ, ახლა უნდა ვიფიქროთ მარტო ომზე და სხვა არაფერზეო. ასე, პლენხანოვს გვერდში ამოუდგა დაუპატიჟებელი სტუმარი და შეუშალა „მარქსისტული“ მუსიკა.

ს. დ. - ნი.

ქართულ მკურნალთა საპურათ-ლეგოთ.

ჩემი აზრი ტფილისში ქართველ მკურნალთა საზოგადოების დაარსების საჭიროებისა, რომელიც ვაზეთ „საქართველოს“ № 6-ნ კაპანაძის მიერ იყო დაახლოვებით გადმოცემული, ჯერ-ჯერობით დარჩა „ხმად მღალადებლისა უღაბნოსა შინა“. მას არ გამოეხმაურა არც ქართული პრესა და არც ამხანაგი მკურნალები მაშინ, როცა ეს საკითხი თავის პირველ ხარისხობით, ჭეშმარიტად, საჭირობოტოა და მნიშვნელობას არ არი მოკლებული. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ამ ჟამად ცხოვრება ისეთი

ჩქარი ტემპით მიაბიჯებს წინ, ისე ღრმად და ელვარებ იცვლება მისი ომამდი ყოფილი სახე, რომ არაჩვეულებრივი სიფხიზლე და შეგუებაა საჭირო, რომ ცხოვრების სვლას უკან არ ჩამოვრჩეთ, მისგან გარყვნილი არ შევიქნეთ. დიახაც მკაცრი იქნება სინამდვილის მსჯავრი, თუ კი ძველებური ფხით დავხვდებით ახალ გარემოს.

მე მგონია და ყველა ქართველი უნდა დამეთანხმოს, რომ დღეს ჩვენს წინაშე (და განა მარტო ჩვენ წინაშე!?) ყოფნა-არყოფნის საკითხია აღმართული; ეროვნული არსებობისთვის ბძოლამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია; და ჩვენი ვალდებულობაა ყოველივე ამას ღრმად ჩავუფიქრდეთ. დღესავით ცხადია, რომ თუ ყველა კულტურულ სფეროში არ ვავიმაგრეთ პოზიციები, შესაფერი აღლოს ადებით, წაგვლეკენ, გზიდან ჩამოგვიცილიან და ჩვენ ადგილს მომზადებული ელემენტი დაიკავებს; ასეთი გახლავთ ცხოვრების უღმობელი კანონი და ჩვენსა გვმართებს მეტი საქმიანობა.

შექმნა და განმტკიცება ცხოვრების ყოველს დარგში კულტურულ პოზიციათა — აი ლოზუნგი, რომელიც უნდა აღიბეჭდოს ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის გულში, ჩვენი ნაციონალური სიცოცხლის შესანარჩუნებლათ.

ამ წერილში კი შე მინდა მკითხველის ყურათღება, განსაკუთრებით კი ამხანაგ მკურნალების მივაქციო ისეთ დარგს, რომელსაც უფრო ვიცნოფ — სახელდობ მედიკურს.

განა სევდის მომგვრელი არ არის ის მოვლინება, რომ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თვისი განსაკუთრებული კლიმატიური თვისებებით სოფლიო ავარაკი უნდა იყვეს, ასე მაგრამ გაუდგამს ფესვი საშინელ ავათმყოფობას, როგორც არი ქლექი, და დღითი-დღე გვაცლის ხელიდან დაუღალავ მუშაკთ, სამშობლოს კანდელთ? საკმაოა გაიხსენოთ ა. ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა, ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, ან ჩვენი პოეტი ევდოშვილი, რეჟისორი შალიკაშვილი და მრავალი სხვა, რომ თქვენ გულში მწარე ნალველმა დაისადგუროს. თვალი გადაავლეთ მოსწავლე ახალგაზდობას, მათ მკრთალსა და სასომინდილს სახეს, გაიგეთ, რომ მათში დიდი

ნაწილი ფილტვების ტუბერკულოზით არის ავად და ჩემთან ერთად თქვენც იკითხავთ:

რათ ხდება ეს ასე, რათ ნეტარებენ ქლექის ბაცილები ჩვენ ქვეყანაში?

და მართო ამ საკითხის ჯეროვანი შესწავლით რო შემოეფარგლა თვისი საქმიანობა მომავალს ქართველ მკურნალთა საზოგადოებას, დაშერწყმუნებით, იგი ამით უშაღღეს საშვილიშვილო მისიას შესასრულებდა.

ვერ მიმოითითებთ ერთსაც-კი ისეთს მხარეს სადაც მრავალ ფეროვნობით უხვსა და მდიდარს ბუნებაში, ამდენი განმკურნებელი მადნეული წყაროები იყვეს, როგორც ჩვენში, საქართველოშია.

ვინ შეისწავლა მათი გამკურნებელი თვისებანი? ვინ ცადა მათი გამოყენება ჩვენი სნეულების საჭიროებათათვის?

აი საკთხები, რომელთა მეცნიერულით შესწავლა ფართო მოედანს მიცემდა ჩვენს მკურნალებს თვისი ერუდიციაც გაედრმაზიბიათ ღ საქმით (პრატიკული) ნაყოფიც მოეტანათ.

რამდენი ასეთი ცხოველ-მყოფელი საკითხები მოინახებოდა დაუბოლოებლათ, რო საჭირო იყოს ახლა ყველა მათი ჩამოთვლა.

აღნიშნული საქმიითი საკითხების ჯეროვანათ დაგვირგვინება, აუცილებლათ, დამოკიდებულია მთელი საქმის ფართო მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებისგან; და ეს-კი შესაძლებელია, თუ-კი შეიქნება მეცნიერული მედიკური ცენტრი. და, მე მგონია, რომ აღნიშნულ ქართველ მკურნალთა საზოგადოებას შეეძლოა სრულიათ თავისუფლათ ეკისრა ასეთი როლი.

მარა მკითხავენ: ამისთვის ხო საჭიროა დაარსება მეცნიერული ლაბორატორიებისა, საჭიროა კაპიტალი და საკმაოთ მოზდილიც და სად უნდა ვიშოვოთ იგი? მე მგონია, ეს საკითხი არც თუ ისე ძნელი გადასაბრელია, როგორც გვეჩვენება პირველი შეხედვით.

მე, რასაკვირველია, ამ საკითხს აქ დაწვრილებით არ გამოგვიკიდები და ეს ახლა არც შესაძლებელია. მე მივუთითებ უადვილეს გამოსავალს აუცილებელი კაპიტალის შეძენისთვის და, აი, როგორ:

ყოველს წევრს საზოგადოებისას შემოაქვს პაი; შეკრებილი პაის თანხისგან არსდება სამკურნალო (ЛѢЧЕБНИЦА) კარგათ მოწყობილი რენტგენის კაბინეტით და ქირურგიული განყოფილებით: ამასთანვე უნდა შეენიშნოთ, რომ დაინიშნულება რენტგენის კაბინეტისა იქნება არა მართო მომზადება ვადაღებისა (СНИМОКЪ) სნეულებათა გამოსარკვევათ, არამედ, უმთავრესათ, სამკურნალო.

ასეთი ტიპის სამკურნალოები, როგორც ვიცით, ძლიერ ცოტაა დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებშია-კი, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოზე; ეს-კი საქმის წარმატების პირველი თავშედება. ასე წოდებული, მეპაები, ე.ი., წევრები „ქართველ მკურნალთა საზოგადოებისა“ სამკურნალოს შემოსავლით არ ისარგებლობენ და წმინდა შემოსავლის ნაწილი მოხმარდება საკურნალოს ვაფართოებას, ნაწილი-კი სამეცნიერო ლაბორატორიების დაარსებას, მკურნალთა ვასამეორებელ კურსთა დაფუძნებას; ნაწილიც პერიოდული სამეცნიერო ორგანოთა და მეცნიერულ ნაშრომთა გამოსაცემათ ვადაიღება; შესაძლებელია და საჭიროც მეცნიერული ექსპედიციები და. სხ და სხვა.

როდესაც სამკურნალო მატერიალურათ ვამაგრდება, პაების შემომტანთ შეუძლიათ ვაიტიანთ თავიანთი პაი უკანვე. სამკურნალოსთანვე, ან უფრო გვიან, ვავაფუძნებთ საქმით მოსაზრებით ქიმიურ-ბაკტერიოლოგიურ ინსტიტუტს არა მართო ჩვეულებრივი ანალიზებისთვის, არამედ სხვა და სხვა სითხეთა (СНОВИЩ-ТОНЪ) საწარმოებლათ.

ამ რიგათ, ქიმიურ-ბაკტერიოლოგიურს ინსტიტუტს შეუძლია მოგვცეს დიდი შემოსავალი, რომელსაც მოვანხმართ საზოგადოების მეცნიერულს მუშაობას. ამ სახით, შეიქნებოდა საქართველოში მედიკური ცენტრი, რომელსაც, აუცილებლივ უსასღვრო ეროვნული ღირებულება ექნებოდა ჩვენ, ქართველებისთვის, რომ არ ვილაპარაკოთ, საზოგადოათ, მის მეცნიერულ ღირსებაზე. ვიმეორებ, რომ ყოველივე წვლილი საზოგადოების დაარსებისა და მისი მომავალი მოღვაწეობის შესახებ, არ შეიძლე-

ბა იქნეს განხილული საგანგებოა წერილში. ეს, ჩემის აზრით, მკურნალთა კრების საქმეა. მინდა უკანასკნელათ დავიჯერო, როგორც ამხანაგი მკურნალნი, აგრეთვე ქართული პრესაც, გამოეხმაურებიან ჩემს აზრს და საერთო ძალით შევიძლებთ სიტყვიდან დაუყინებლივ საქმეზე გადასვლას.

მოსკოვის საიმ. უნივერსიტეტის პრივატ დოცენტი, გაბრიელ ღამბარაშვილი.

ქართული პრესა.

7 მარტს ქუთაისში სტამბიდან გამოვიდა შარშანდელი საორშაფათო გაზეთი „ახალი კვალი“. შარშან ეს გაზეთი ცამეტი ნუმერი გამოვიდა ღ შეიჩერეს.

ახლათ გამოსული-კი № 14-ია. ნუმერი ცოცხლათ არი შედგენილი. უფრო საყურა თღებრა ამ გაზეთის მეთაური „პირველი ნაბიჯი“.

არასოდეს სოფლიო მუშათა კლასის წინაშე, ჯერ არ მდგარა ასეთი ფართო და დიდ მნიშვნელოვანი სკიოხები, როგორც დღეს. და არასოდეს იგი ასე არ საკიროებდა შეერთებული ძალით შეთანხმებულ მუშაობას, როგორც დღეინდელ უმაგალითო ომის დროს“.

მარა ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენს. სამოქალაქო ომის დროს ერთი-მეორეს ეტაკება ორი მოპირდაპირე კლასი. ამიტომაც, აქ დემოკრატიის ტაქტიკის გამომუშავება ადვილი საქმეა.

„სულ სხვა მდგომარეობა იქნება ომის დროს. აქ ბძოლა არ არის ატენილი ორ მოპირდაპირე კლასს შორის, სადაც ერთი ისახავდეს არსებული წესწყობილების გარდაქნას, ხოლო მეორე—მის გადარჩენას. არა, აქ სხვადასხვა სახელმწიფოთა გაბატონებული კლასები ებძვიან ერთმანეთს, თავის ბატონობის გასაფართოებლათა და გასამტკიცებლათ.

დღეინდელ სოფლიო ომშიც, სამკედრო-სასიპოტსლო ბძოლა არის ატენილი ერთსა და იმავე კლასს შორის, ორი სხვადასხვა სახელმწიფოთა კოალიციის ბურჟუაზიის სახით; სოფლიო ბაზარზე ბატონობისთვის. ამ შემთხვევაში, არსერთის დროშა არ არის დროშა პრეგრესისა და თავისუფლების.

აი, ასეთ დროს მუშათა კლასს ყოველთვის უძნელდება არსებულ მდგომარეობაში გარკვევა და შესაფერისი ტაქტიკის გამომუშავება. ამას აძნელებს

ის კიდევ უფრო, რომ ომის ბატონ-პატრონი ყოველთვის დიდს ხელაფნებით ახარებენ თავის ნამდიდრ მისწებისა და განზრახვების დამალვას. ამავე დროს, ისინი ყოველ დონეს ხმარობენ მოუსპონ მუშათა კლასს თავისუფალი მოქმედების საშვალება“.

მუშათა კლასი სუსტი გამოადგა, ხელი შეეშალა ომის ატენისთვის.

„პირიქით, პროლეტარიატი თვით ჩაება ომში და ნებით, თუ უნებლიეთ იგი მისი მონაწილე გახდა. გაბატონებულმა კლასებმა და მათმა იდეოლოგებმა, მუშათა კლასს სისუსტე დანაშაულათ ჩაუთვალეს და დამნშავეის სკამზე დასვეს. ამავე დროს, თვით ბრალმდებელნი ომამდისაც და ომის დროსაც ყოველ დონეს ხმარობდენ და ხმარობენ, დაესუსტებიათ მუშათა კლასი და ხელი შეეშალათ მისი საკუთარი ძალების შეკავშირება-შეგნებისთვის“. დროებით გამარჯვება იმპერიალისტთა მხარზე აღმოჩნდა. მარა მდგომარეობა თანდათან ირკვევა.

„იმპერიალისტებმა თვისი პირბაღე თანდათანობით ჩამოიხადეს. მათი განზრახვანი და მისწრაფებანი ყველასთვის აშკარა შეიქნა და ომის მაზინიც გამოირკვა. დღეს თვით ავტორებსაც აღარ წამთ, რომ ომი რაიმე საკაცრობიო მიზანს ისახავდეს. აღარ სწამს ეს მით უმეტეს მუშათა კლასს. ეს უკანასკნელი უკვე ირკვევა ბურჟუიდან და თავს აღწევს იმპერიალისტების კლანტებს. ამის ნიშნები უკვეა, იგი ირახმება“... ასეთი ნიშანია უნაექსიო ზავის მოთხოვნილება, რაც ფართო ამოძახილს პოვეს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა წრეებში. იმპერიალისტური ვაკსანალია თავის დასასრულს უახლოვდება.

ლია წერილი.

„ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის“ წევრთა საყურათლებოდ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საზოგადო კრებამ, 23 თებარვლს, ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელთა თანდასწრებით, იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყოს საქმე, რო ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკა-სამკთხველოებს ყოველი ქართული გამოცემა ექნეს უკლებლივ ღ სამუდამოთ. როგორც მოგეხსენებათ, დღემდე მარტო წ. კ. გამაგრცელებული საზოგადოების წიგნ-საცავში იკრიბებოდა

ჩვენებურ გამოცემათა თითო ოროლა ცალი; მარა გამოცემათა ფრიად დიდი ნაწილი არც ამ წიგნსაცავე; და, რაც არის, ისიც ისეთს ქალაღღზეა დაბეჭდილი და ხშირი ხმარებისგან იმზომათ დაზიანებულია, რო ნახევარ საუკუნესაც ველარ გაძლებს. საზოგადოთ, ჩვენებური გამოცემანი ფრიად უფარვის ქალაღღზე იბეჭდებოდა და იბეჭდება; და, რაც იბეჭდება, ისიც არ ეგზავნება წესიერათ ჩვენს ეროვნულ მთავარ წიგნ-საცავეს. გაივლის ერთი საუკუნე ღ, შესაძლოა, ამ გამოცემათა ხსენებაც-კი მოისპოს.

აუცილებლათ საქიროა, ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკებისთვის ყოველი ქართული გამოცემის რამდენიმე ცალი საუკეთესო (გამძლე) ქალაღღზე იბეჭდებოდეს და ინახებოდეს მომავალ თაობისთვის. ანაში თვით რედაქციებიც ლაინტერესებული უნდა იყონ; ლაინტერესებული უნდა იყოს მთელი კულტურული ქართველობაც და უპირველეს ყოვლისა მისი საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

უეჭველია, ზედმეტი ცალების დამზადება (კარგ ქალაღღზე) ხარჯებს მოიახზოს და ეს ხარჯები მთელმა კულტურულმა ქართველობამ უნდა გაინაწილოს. ამიტომ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრებამ საქიროთ ცნო ამ საგნის შესახებ მოხსენება წარუდგინოს ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის კრებას, რომელიც აპრილის შვა რიცხვებში მოხდება, რათგან საქიროა, რო კავშირის წევრები იმ კრებაზე ამ საგნის შესახებ წინდინწინვე გარკვეულის აზრით მომხანდნენ, — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო მიმართავს აღნიშნულ კავშირის წევრთ (დაწესებულებებს) და თხოვს: თავის დელეგატებს ამ საგნის შესახებ შესაფერი ღირეკტივები მისცენ სახელდობ, გამოიტანონ ადგილობრივი დადგენილება — თანხმანი იქნებიან, თუ არა დაწესებულებანი, იტვირთონ ხარჯები აღნიშნული საქმის მოსაწყობათ და, სახელდობ, დაახლო-

ვებით, რა წვლილის გამოღებას შეძლებდენ იგინი ამ საქმისთვის.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო.

მოწოდება.

„ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა“

აუტანელია დღეს ქართველ მწერლის და საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა.

მძიმე ტვირთი აწევს მას ზურგზე.

დიდია მისდამი მიმართული მოთხოვნილე ბა.

ბევრი რამ მოვთხოვება, ბევრს მოვითხოვთ, ვავალებთ კიდევ.

და, ამავე დროს, სულაც არ ვფიქრობთ მისს უზრუნველყოფაზე, ცხოვრების გაუმჯობესობაზე.

არად მიგვაჩნია, რო ჩვენი ქვეყნის მოამბე გენი უაღრესს გაქივრებას განიცდიან, არა აქვთ ხეირიანი ბინა, თფილი ღუკუმა.

ჩვენი მწერალი, მსახიობი, მგოსანი, მხატვარი, პუბლიცისტი — თითქმის ყველა ამ ტაფაში იწვის...

ჩვენ მათი ბედი არ გვანტერესებს, მათს გასაქირს ყურათღებას არ ვაქცევთ.

მხოლოთ მაშინ მოგვაგონდებიან, როცა ცხოვრებასთან ბძოლით დაქანცულნი ძირს ეცემიან, ველარა ეშველებათ რა....

მაშინ ძვირფას გვირგვინებით ვამკობთ მათს კუბოს, ვტირით დანაკარგს, თავში ვიცემთ...

იმას-კი აღარა ვფიქრობთ, რო სიკვდილის შემდეგ, გამოჩენილი ყურათღების მეთადი, ან შეასედი იყო საკმარისი, რომ უდროოთ დაკარგულს კიდევ დიდხანს ეცოცხლა, სამზობლოს ნიადაგზე ემოღვაწნა.

ჩვენი ასეთი გუზგრილობის ნაყოფი მრავალია. მრავლათ დავკარგეთ ნიჭიერი ახალგაზღა, ვისაც ბევრის ვაკეთება შეეძლო, ცხოვრების

პირობები ცოტა უკეთ რო მოწყობო-
დათ.

დავკარგეთ ე. ნინოშვილი, ჯორჯაძე,
ვაჟა-ფშაველა...

კიდევაც ბერს დავკარგავთ, თუ დროზე გონს
არ მოვედით, თუ სიცოცხლითვე არ ვისწავლ-
ლეთ საზოგადო ღვაწლის დაფასება, თუ ამ
თავითვე ცხოვრების პირობები არ შევუცვალეთ
ჩვენი ქვეყნის მოჭირნახულეთ.

ეს აზრი კარგა ხანია გამოითქვა ქართულ
პრესაში. განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მან
ჩვენი დიდებული მგონის ვაჟაფშაველას
უდროოთ გარდაცვალების შემდეგ.

ქართულ კულტურის მოყვარულთა სა-
ზოგადოებამ თავის წმიდა მოვალეობათ ჩათვალა
მნგარიში გაეწია ამ საერთო სურვილისთვის,
თავს იდვა აუცილებლივ საჭირო ეროვნულ
საქმის გაძღოლა.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოებამ თავის წმიდა მოვალეობათ ჩათვალა
ანგარიში გაეწია ამ საერთო სურვილისთვის,
თავს იდვა აუცილებლივ საჭირო ეროვნულ
საქმის გაძღოლა.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოება, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული
ჩვენი კულტურის ყოველმხრივი შესწავლა და
გამომზერება, გვერდს ვერ აუქცევს ამ
კულტურის ცოცხალ ძალებს, იმ მუშაკებს,
რომელნიცა ქმნიან ჩვენ კულტურას, ემსახუ-
რებიან ქართველ ერის წარმატება-აღორძინებას.

ამ მიზნით საზოგადოებამ გადაწყვიტა თა-
ვის განსვენებულ საპატიო წევრის, ვაჟა-ფშავე-
ლას სახელობაზე მოღვაწეთა აგარაკის აშენება ს.
წალკერში და შესაფერი შეამდგომლობა კიდევ
აღძრა.

საქმის საუკეთესო მოსაწყობათ დაარსდა
განსაკუთრებული სააგარაკო კომისია, რომე-
ლიც უკვე შეუდგა მუშაობას.

დღეს ეს კომისია მოუწოდებს ყველა
ქართველს—ყველას, ვისთვისაც-კი ძვირფასია
ჩვენი სამშობლოს მომავალი კეთილდღეობა:

ვისაც, რითი შეგიძლიათ, ხალი შეუწყობთ
აგარაკის აშენებას!

ნუღაინანებთ თითო ოროლა გროშს წმი-
და საქმისთვის!

ვისაც, რა შეგეძლოთ, იმითი შემოგვე-
წიეთ!

ყოველი შემოწირულება დიდი მადლობით იქ-
ნება მიღებული, ხოლო შემომწირველთა
სია—თავის დროზე გაზეთებში გამოცხადე-
ბული.

შემოწირულება მიღება:

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოების კანცელარიაში. (სასამართლო ქუჩა.
სახლი № 26, ბინა გ. ჟორდანიასი, ტელეფო-
ნი № 17—00), ყოველ დღე, გარდა კვირა-
უქმისა, 12—2 საათამდე.

2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-
დოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილ-
თან.

3. დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის
ქ. № 2), თამარ დრეჯანიშვილთან.

4. ხარფუხის კლუბში—ალ. ლორთქი-
ფანიძესთან.

5. თფილისის ქართულ გაზეთების რედა-
ქციებში.

იმედი გვაქვს, რომ, რითაც შეგიძლიათ
დაგვეხმარებით აგარაკის აშენება მოწყობის
საქმეში და, რაც შეიძლება, მოკლე ხნის
განმავლობაში პასუხს გვიბოძებთ.

პროზა კავკასიაში

(სახ. დუმის სხდომა)

როგორც უკვე დებეშიდან ვიცით, 17
მარტს სახელმწიფო დუმაში ლაპარაკი აღიძრა
კავკასიის ერობის შესახებ. საკოხი წამოაყენა
თვითმართველობის კომისიამ, რომელსაც საჭი-
როთ მიაჩნია შემუშავდეს შესაფერი კანონი.
ერობის საჭიროებისთვის ილაპარაკეს კომისიის
მომხსენებელმა შიდლოვსკიმ და კავკასიელმა
დეპუტატებმა: პაპაჯანოვმა, ჩხენკელმა, სკობე-
ლევა, ჯაფაროვმა და ნიკოლაევა.

პაპაჯანოვი ვრცლათ შეეხა კავკასიის
ერობის საკითხის ისტორიას და აღნიშნა, რომ
რეფერომის შემოღება დღეს აუცილებელ საჭირო

ებას წარმოადგენს. თვით ღუმაშ რამდენჯერმე მიაქცა ყურათღება ამ საქმეს და უკანასკნელათ განსვენებული ვ. გელოვანის ინიციატივით სურვილი გამოთქვა, რომ კავკასიაში ახლავე იქნეს შემოღებული ერობა. რაც შეიძლება მალე უნდა გახორციელდეს საერობო რეფორმა, ხოლო ამასთანვე საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი საჭიროება: კავკასიის ერობას საფუძველათ უნდა დაედვას ერების თანასწორობა, საერობო ერთეულ ბი უნდა შეუფარდდეს სამეურნო და ეთნოგრაფიულ ერთეულებს. პირველი საერობო ერთეული უნდა იყოს საპოლიციო ნაწილი, ხოლო მეორე-ოლქი და ოლქებს ნება უნდა ქონდეთ შეადგინონ კავშირი.

ნიკოლაევმა მოიტანა კავკასიის სხვა და სხვა კრებების და ყრილობების დადგენილება ერობის შემოღების შესახებ. მეფის ახლანდელი მოადგილე, როგორც ვახეთების ცნობებიდან ჩანს, მომხრეა ერობის შემოღებისა. ამიტომ საქმის დაჩქარებას არაფერი უნდა გადაელობოს წინ.

ა. ჩხენკელი კურათლებას აქცევს იმ გაგარემოებას, რომ უერობობა დიდათ აფერხებს მკვიდრთა ქონებრივ წარმატებას. 1914—1915 წლებში ხალხს სხვა უბედურებისთან ერთად დიდი მოუხსავლობა და წყალდიდობა დაატყდა თავს... კავკასიისთვის ერობა იმიტომ არ ემეტებათ, რომ იქ არა რუსები ცხოვრობენ. კავკასიის ერები მოითხოვენ ერობას, არა როგორც საჩუქარს კარგის ყოფა-ქცევისთვის, არამედ, როგორც უფლებას, უფლებას თვითმართველობას... მთავრობამ ვერაგულათ დაარღვია რუსეთის და საქართველოს ხელშეკრულობა, რომლის ძალით **საქართველოს სრული ავტონომია ეკუთვნის, ეს ხელშეკრულობა კანონთა კრებულშია შეტანილი.** რა მოვალეობის შესრულება შეუძლია მოითხოვოს მთავრობამ, რომელიც თვით არ ასრულებს არავითარ მოვალეობას?... ჩვენ მოვითხოვთ დემოკრატიულ ერობას...

ჯაფარივი ამბობს: ღუმა არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო სურვილის გამოთქმას, არამედ

ძალია უნდა დაატანოს მთავრობას, რომ მალე შემოიღოს კავკასიაში ერობა, თუნდაც 1890 წლის ერობა, შეცვლილი ადგილობრივი საჭიროების მიხედვით.

სკობელევის სიტყვით, ერობის შემოღების დროს, უნდა მოისპოს საცენზო დანაწილება და შეიცვალოს ახლანდელი საადმინისტრაციო ერთეულები.

მეფის მოადგილის რწმუნებულმა ნიკოლსკიმ გააცხადა, რომ მთავრობა შეუდგება საერობო კანონპროექტის შემუშავებას, თანახმათ 1890 წლ. დებულებისა და შეიტანს ცვლილებას, რომელსაც მოითხოვს ადგილობრივი ვითარება.

სახ. ღუმაშ საჭიროთ ცნო ერობის შემოღება კავკასიაში და შესაფერი კანონპროექტის შედგენა მიანდო თვითმართველობის კომისიას.

† შაქსიძე შაქსიძეს კე კოვალევისკი.

პეტროგრადში, 23 მარტს, გარდაიცვალა სახელოვანი სოციოლოგი და აკადემიკოსი, პროფესორი მაქსიმე კოვალევისკი. განსვენებულს ევროპის სამეცნიერო წრეებში იცნობდნენ მის სოციოლოგიურ ნაშრომებსა და სამართლის ისტორიის შესახებ გამოკვლევას ევროპის მეცნიერებაში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. პროფესორი კოვალევისკი, ლიბერალურ მიმართულების გამო, რუსეთის უნივერსიტეტიდან გადევნილი იყო და მრავალ წელთა განმავლობაში ევროპის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა. პარიზში მან დაარსა ცნობილი „რუსული უმაღლესი სასწავლებელი“.

1905 წლის შემდეგ, კოვალევისკის რუსეთში დაბრუნების ნება მიეცა და, მას შემდეგ, კვლავ რუსეთში მოღვაწეობდა. პეტროგრადის უნივერსიტეტში კითხულობდა იგი ლექციებს და სახელმწიფო საბჭოში რუსეთის უნივერსიტეტებისა და აკადემიების წარმომადგენლათ იყო. სახელმწიფო საბჭოში აკადემიკოს კოვალევისკის მოღვაწეობა თვალსაჩინო და ნაყოფიერი იყო. ის მეთაურობდა საბჭოს აკადემიურ ფრაქციას.

პროფესორი კოვალევსკი ჩვენს ცხოვრებასაც კარგათ იცნობდა. მან ადგილობრივ შეისწავლა ქართველთა მთიულების ზნე-ჩვეულება და ამის შესახებ მეტად საყურათღებო შრომა დაწერა. განსვენებული კოვალევსკი ჩვენი სახელოვანი ილიას მეგობარი იყო, რომელთანაც სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობამ დიდათ დაახლოვა. 1912 წელს პეტროგრადში ადგილობრივმა ქართველმა სტუდენტობამ ილიას საღამო გამართა. კრებას განსვენებული კოვალევსკი თავმჯდომარეობდა. ილია ქვეყანის შესახებ პირველი სიტყვა მაქ. კოვალევსკიმ წარმოთქვა და ჩვენი-სიამაყის, როგორც სამწერლო, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მომხიბლავი, დიდი წარმატებით სიტყვებით საუცხოოთ დაასურათა... განსვენებულმა თვისი მდიდარი ბიბლიოთეკა პეტროგრადის რეპლიკის უნივერსიტეტს შესწირა.

შენიშვნები *)

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

თხზულებანი კმ. ჯუანადას, ჰირველი ტომი, გამაც. 1914 წ.)

V

თუ დედათა სქესის წარმომადგენლებში ხედავს მქადაგებელი ურწმუნოების კვალს და გულახდილათ ეუბნება მათ: — „დედაო, საქართველოს ბედი ქრისტეს მოსავე თამარის მიბაძვ დედათა ხელშია და არა ბებელის იდეალის ქალისაშია“, — მამაკაცებსაც ასე მოძღვრის: — „იცოდეთ, რომ ერი, რომელიც თვით შიშვლდება, თვით იხსნის წელიდან თავის სარტყელს, თვით არყევს საკუთარი ზნეობის სამანს, თვით ანადგურებს თვისი არსებობის ციხე სიმაგრეებს, თავილოებს მას, რითაც ცნობილი იყო ქვეყანაზე, რაც მისი სულისა და ხასიათის ძვირფას თვისებათ ითვლებოდა, უნდა, უსათუოთ, მოისპოს და გაქრეს. ეს აუცილებელია წესია ისტორიისო.“ (გვ. 113)

ეს მეტათ საგულისხმო და საგძნობელი

*) იხ. „ცხოვრება“ № 5

ადგილია. ათასჯერ სხვამ გაგაშიშვლოს, იმდენათ სამარცხინო, საშიში და საუნო არ არი, ვიდრე ერთჯელ თვით გაიშიშვლო შენი თავი! საქართველოს სხვებისგან გაშიშვლება არ დაკლებია ათასჯერ და მეტჯერაც თვისი გძელი ისტორიის განმავლობაში. მარა ის ვერ მოსტეხა, ვერ დაამკირა, ენა და ქართველობას ვერ გამოსტაცა ხელიდან ამ გაშიშვლებამ... გაიშიშვლა თვით თვისი თავი რ საშიშ ყოფაშიაც ჩავარდა... სხვისი ხელის შემყურე კაცი მეტათ ბრალია, გინდ შვილიც იყოს მამისა შემყურე. ის ყოველთვის სხვისი ხელიდან მოვლის ლუკმას, ამას თუ იმას, თვალში შეტყერის ფინიასავით, სახეს იმანკავს და კუდს ათასნაირათ ათამაშებს, ეგებს, ერთი ზედმეტი ლუკმა მომიგდოსო, ეჩვევა მონობას, იცვლის თვით სახელსა და გვარსაც, უმჩატდება ქვეა — გონება, უსუსტდება თვით ძალ — ღონეც, კარგავს ადამიანობას, მოქალაქობრიობას, ერთი სიტყვით, იშიშვლებს თვის საკუთარ თავს და იმსახურებს დამკირებას, სიძულვილს, შერცხვენას და, ბოლოს — კი სიკვდილს და გაქარწყლებას... აი, რას გვამცნებს მქადაგებელი. მარა განა მარტო მქადაგებელი! ასეთი შენიშვნებ შემეცნებებით სავსეა საერო ლიტერატურაც. მარა საქმეც ისაა, რო გაშიშვლების გზაზე დამდგარს ათასჯერაც ჩასძახოთ: — „კაცო, გაიხედე წინ, შენ მიერ არჩეული გზის, თუ პირველი — დამამკირებელი ნაბიჯი ტკბილია, მეორე და თვით პირველიც მწარეა, ვით შხამი, მესამეზე — კი სასირცხვო სიკვდილიც მოგელისო.“ ის ერთჯელ გიპასუხებს: — „თავი მანებეთ, დღეს, თუ ტკბილს შევხვთი, იმას შევსრუტავ... სულერთია, ხვალ მაიც მოვკვდებიო.“ და, ვინც ასეთი საზომით გამოდის, რაღა საკვირელია, ისპობა — „ეს აუცილებელია წესია ისტორიისო“, გვეუბნება მქადაგებელთან ერთათ ფხიზელი გონებაც. — „გინდათ იარსებოდეთ ქვეყანაზე სახელითა და დიდებით, — ამბობს მწყესი კეთილი, — მტკიცეთ ჩასტიდეთ ხელი სარწმუნოებას, ამ მხრით მაინც ნუ გაიშიშვლებთ თავს, ნუ დაგრვეთ ამ არსებობის ციხე სიმაგრეებს, ნუ შეარყევთ ზნეობის სამანსო“.

მართლაც, რა არი სარწმუნოება ხორცი-
ელი ცხოვრებისთვის? ნუ თუ არ ცთება აქ
შქადაგებელი! სარწმუნოება მხოლოდ სულის
ცხოვრებისთვის უნდა ექიროს კაცს, თორე, რა
სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მან ხორცი-
ელ ცხოვრებას? ნუ თუ სასულიერო წოდებ-
ის სარჩენათ არ არის იგი მოგონილი?... 1)
სამწუხაროთ, მართლაც ასეთ საკითხებს
აყენებენ და ზოგი უფრო შორსაც გარბის,
რო ღმერთი, სარწმუნოება მორჩილებას,
სიწყნარეს, სიმშვიდეს ღ მონებას-აჩვენებს კაცს
და ეს-კი ცხოვრებისთვის გაენებელიაო: მორ-
ჩილს, წყნარს, მშვიდს ერთნაირათ და ერთ-
ბაშათ ნთქავს სვაგათ ქვეული კაცია.—ამ
შებენდულობაშუ ცხოვრებაზე ერთი ნამცეცი
სიმაართლე არ არი.—მარა, სანამ ამაზე დამ-
ტკიცებას მოვიტანდეთ, უნდა აღვნიშნოთ ლ.
ტოლსტოის აზრი სარწმუნოებაზე: — „სარწმუ-
ნობას შეუძლია გააშუქავს ფილოსოფური
მოსაზრებანი. ფილოსოფური მოსაზრებებს
შეუძლია გაამტკიცოს სარწმუნოებრივი ქეშმარი-
ტებანი. ამიტომ საჭიროა, ვეძიოთ კავშირი
ქეშმარიტათ მორწმუნე და ქეშმარიტ ფილო-
სოფოს ადამიანებთან, როგორც ცოცხლებთან,
აგრეთვე მკვრებთანაცო.“ — ესეც არ იყოს,
აბა, ვის ჩაძახა ღმერთამა, სარწმუნოებამ
ყურში : — „შეგჭამოს — შეგჭამოს, ხმა
არ ამოიღოო?“ — ქრისტეს სიმშვიდეს
ასე აგვიწერენ : — „ანთებულს პატრუქას
არ გააქრობდა, სუსტ ლერწამს არ
გადატეხდაო“. — მარა ბძანეთ ერთი, ვინ იყო
მისებ მებძოლი სიავის, უკუღმართობის და

უკანონობის წინააღმდეგ?! — განა მშვიდი და
წყნარი წმ. ნინო დავმორჩილა არმაზის გამ-
ხეცებულ ქურუმებს, ხალხს, თვით მეფე—
დედოფალს და დიდებულებს, თუ მან თვით
სარწმუნოებრივი ძლიერებით გაფლადებულმა
დაიმორჩილა ყველა ისინი? — რაც სარწმუნო-
ებრივი სიმშვიდით შეძელდა წმ. ნინომ თვი-
სი სიმშვიდით გააკეთა და გაარიგა, იმას ვერ
გაკეთებს, ვერ გაარიგებს დღეს თვით ათია-
თასი ურწმუნო გულადება!... ურწმუნოება
კაცს აღაჩრებს — აყურდლებს, ან აფარისველე-
ბს — აშელებს, ან კიდევ, პირათ თავის ლუკმი-
სავის, აღესიებს კბილებს — ამგვლებს და
ასეთს მხეცებზე ნადირობენ მხოლოდ... მაშინ
როდესაც მორწმუნე კაცი ფუტყარს გავს,
რომელიც თავისი დაუღალავი შრომით ნაყო-
ფის მცირე ნაწილს თვით იტოვებს სარჩოთ,
დანარჩენს ცა და ქვეყანას უნაწილებს. იგივე
მშვიდი და წყნარია, მარა მტრისთვის-კი დამა-
ლული მზამიანი ისრითარი შეიარაღებული. — 1)
ვინ იყო თამარ მეფე? მისცა, თუ წაართვა მას
რამე, მათ რიცხვში სიამაყეც, სარწმუნოებამ?
ამოფუყნოთ მას გვერდით ურწმუნო, მარა
უმავალითო მეომარი ნაპოლეონი, რომელმაც
მოხელეთა დასაჯილდოებლათ მენდლები გას-
ჯელა, ზედ წარწერით: — „შენ (ღმერთო)ცა
და მე ქვეყანაო:“ — პირველმა სარწმუნოებრივი
გონიერობით ის შექნა, რაც მის ძალას არ აღემა-
ტებოდა და სარწმუნოებრივი გონიერობა-კი
მარად ეამ ჩაძახოდა მის სინიღისს: — „კაცი
თავის კანში უნდა ჩაეტიოს და ხე ქერქშიო.
შეუძლია ხეს, კაცსაც დიდათ გაიზარდოს,
მარა იმდენათ-კი არა, რო პირველს ქერქი
გადასკდეს ტანზე და მეორეს — კანიო!“ — სე-
მაგიეროთ, დროის, გარემოების და პირობების
მიხედვით, თავის წრეში მან უფრო მეტი გა-
კეთა, ვადრე ნაპოლეონმა თავის წრეში, თუ
უმავალითო სისხლის ღვრას და ხალხთა არა
ღვთიურათ ხოცვა-ჟლეტას დიდ დიდებათ არ
მიუფუთელით უკანასკნელს... ნაპოლეონი არა

არინ კაცები, რომელნიც არც ისე მორწმუნენი,
მარა მიმართულმა მინს ფუტყრისა აქეთ. ასეთს
ამ ჩემი წერილის ერთი სიტყვაც არ შეეხება. მათზე
ცალკე წერილში მექნება საუბარი. ავტორი.

1) უნდა გულ ახილათ აღვიართ, რომ სასული-
ერო წოდება თავი და დიდი მნიშვნელოვანი მიზეზია
სარწმუნოებას, ამ არსებობის ბურჯის დანგრევაში.
მისმა უთავბალობამ, თვით მასში სარწმუნოების შეაუ-
სტებამ, ლამის არი, საძირკველი გამოაკალოს სარწმუ-
ნობას ხალხშიაც. ერთნაირათ მართალია ხალხი, დ-
ეინდელი საღვდლოების შემხედვარე, რომ ამბობს: „
სარწმუნოება ღვდლების ლუკმა არისო“. ასეთი დასკვნა
მას გამოყავს დღეინდელი საღვდლოების ცხოვრებიდან...
მარა ამით ხალხის გამართლება არ შეიძლება. მას თვით
რომ ინდიფერენტული შეხედულობა არ ქონდეს
სარწმუნოებაზე, ის ალაგმავდა ამ წოდებას, ვით საჭიროა.
ავტ.

ბუნებრივად გაიზარდა და მის მიერ, ადამიანათ ძვლებიდან ცამდი აგებულ კოშკს თავზე მოექცა. სამაგეროთ, ეს კოშკი ბუნებრივად დაინგრა და ნაპალეონიც ქვეშ მოყვა, რაც შას ურწმუნოებით დაემართა, ამ გამოთქმის სწორი აზრით... ის მხოლოდ მაშინ მოეგო გონს და ჩაუფიქრდა ღმერთს-ქრისტეს, როცა თვისი დიდების სიმაღლიდან ჩამოვარდა. ერთხელ, ის, წმ. ელენეს კუნძულზე მყოფ (წერილები ლიუტარდტისა), როცა ჩვეულებისაებ საუბრობდა დიდ პირებზე და აღარებდა იმათ თავის თავს, უცებ მიუბრუნდა მოსაუბრეს და კითხა: — „ შეგიძლია მითხრა, ვინ იყო იესო ქრისტეო?“ და, როცა უკანასკნელმა უპასუხა, რომ მას არ ქონებია შემთხვევა ქრისტეზე ეფიქრა, ნაპალეონმა უთხრა: — „ მაშ, აი, მე გეტყვი შენ — და დაუწყო ქრისტეს შედარება მის თავთან და სხვა, ძველი დროის დიდ პირებთან. დაამტკიცა კიდევ, რომ ქრისტე ყველაზე მაღლა დგას და ასე დაბოლოვა სიტყვა: — მე ვფიქრობ, რომ ცოტა-რამ უნდა მესმოდეს კაცებში და ვიტყვი: ყველა ისინი კაცები იყვენ, შეც კაცი ვარ. მარა იესო ქრისტეს-კი ვერაფერ შეედრება, ვინაიდან ის კაცზე მეტიაო.“ — დავით აღმაშენებელი რომ მორწმუნე იყო, განა ამან წაართვა მას გული, გაბედულობა, გამჭირახობა?... მარა თავი ვანებოთ დაშორებული დროის პირებს და გაბრიელ ეპისკოპოსი ავიღოთ. გაბრიელის სარწმუნოებაზე ვილაკას ეჭვი დაებადა, თურმე: „ — ის ქადაგობს სარწმუნოებაზე, თორე მორწმუნე არ იქნებაო. ან რა საფიქრებელია მაღალ ნასწავლი და ჭონება განათლებული კაცი მორწმუნე იყოსოქ (!) ამით დაინტერესებულმა დაუყარაულა, თურმე, გაბრიელს, როცა ის სამწყესოს დასამოდერებლათ დაბძანდებოდა და

დაინახა, რომ როცა ყველა დაწვა, დაიძინა და ფაცა ფუციც შესწყდა, გაბრიელი წამოიპარა ლოგინიდან, ანთო ჩხირი სანთელი ხატის (პანალიის) წინაშე და რადენიმე საათს ხელაპყრობილმა ცრემლით ილოცა. მაშინ დარწმუნდა ურწმუნო თომა, რომ გაბრიელი მორწმუნე იყო... მარა წაართვა მას გულადობა სარწმუნოებამ? — არავის შეუძლია ამის თქმა. გაბრიელი მახვილივით ესობოდა დიდს ბოზოლებს და სიტყვაც რა არის, არ აპატიმებდა ჩვენი ეროვნების დაჩაგვრა-დამცირების აზრით წარმოქმულს... თუ თვალს გადავაჯვლებთ ანტონსა და გაბრიელს შვა მყოფ ღვდელმთავრებს, დავინახავთ, რომ ისინი დღიური ლუქმისთვის ცხოვრობდენ და სწორეთ ამისთვის მლიქნელობდენ ძალთა წინაშე, რასაც ანტონს და გაბრიელს ვერ შეგწამებთ, ვინაიდან ეს უკანასკნელები ღრმათ მორწმუნენი იყვენ, მათმა დაუმახინჯებელმა, სწორმა და მტკიცე სარწმუნოებამ ჩაუნერგა მათ მტკიცე სული, გონივრული უშიშრობა, შეუღრეკელობა და საზოგადოთ, ყველა ის თვისებანი ნამდვილი აღმიანისა, რითაც ისინი გასხვავდებიან უბრალო — ურწმუნო მომაკვდავთაგან, ლუქმა პურისთვის ფეხქვეშ გამგებსაცოდავებისგან.

კირილე წუთისოფლედი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანხაშა.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ყურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარეებით და კარიკატურებით

წელიწადი
მართხე

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოცემის მართხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად
5 მან.
ნახ. წლ.
3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეტილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა
ყურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით - 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს - 2 მ. მაისში - 2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9-2 ს. საღ. 5-7 ს. ფოსტით: Тифлисть. ред. „Театри да Чховრება“ - Иос. Имедашвили.
ტელეფონი № 15-41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ამიერიდან ა. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამეფო ბლოკი“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შური, დამატებიანი - 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნათ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამეფო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოციელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ ლეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ა. თ. ცანცაძე.